



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
2021 წლის ბიუჯეტის  
შესრულების ანგარიში



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 26/02/2021 №2; 25/06/2021 №17; 14/10/2021 №20 და 26/11/2021 №25 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 196,941.9 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 197,226.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 210,447.4 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 178,358.6 ათასი ლარი.

2021 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

### ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა განვითარება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 41 204,1 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 27 668,0 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 15 223,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 7 591,0 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 484,3 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 2 111,0 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 1 273,9 ათასი ლარი.

### ✓ ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება- 10 078,1 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 10 701,3 ათასი ლარი;

### ✓ განათლება:

- სკოლამდელი განათლება - 14 672,0 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 100,0 ათასი ლარი;

### - ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 12,8 ათასი ლარი;

### ✓ კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4 117,8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 4 495,9 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 276,2 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 327,0 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 1 250,2 ათასი ლარი;



- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 196,8 ათასი ლარი.
  - ✓ **ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა:**
  - ჯანმრთელობის დაცვა - 4 219,7 ათასი ლარი;
  - სოციალური უზრუნველყოფა - 12 403,2 ათასი ლარი;
  - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 821,7 ათასი ლარი.
  - ✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**
  - ქალაქის ურბანული განვითარება - 12,2 ათასი ლარი;
  - ✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**
  - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 5 986,7 ათასი ლარი;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (6 178,9 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (2 944,3 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (8,4 ათასი ლარი).



## I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

### ქ. ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება	შესრულება-ის %
<b>შემოსავლები</b>	<b>179 991,9</b>	<b>180 451,5</b>	<b>100%</b>
გადასახადები	70 828,5	77 736,0	110%
გრანტები	79 284,1	59 638,5	75%
სხვა შემოსავლები	29 879,3	43 077,0	144%
<b>ხარჯები</b>	<b>126 553,2</b>	<b>118 798,5</b>	<b>94%</b>
შრომის ანაზღაურება	25 504,3	24 983,2	98%
საქონელი და მომსახურება	43 755,9	40 439,7	92%
პროცენტი	179,5	179,5	100%
სუბსიდიები	16 001,8	15 891,2	99%
გრანტები	15,0	4,8	32%
სოციალური უზრუნველყოფა	10 977,6	9 875,6	90%
სხვა ხარჯები	30 119,2	27 424,6	91%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>53 438,7</b>	<b>61 653,0</b>	<b>115%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>64 178,7</b>	<b>40 024,6</b>	<b>62%</b>
ზრდა	81 128,7	56 795,3	70%
კლება	16 950,0	16 770,7	99%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-10 740,0</b>	<b>21 628,4</b>	<b>-201%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-13 505,5</b>	<b>18 863,7</b>	<b>-</b>
ზრდა	0,0	18 867,9	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	18 867,9	-
კლება	13 505,5	4,2	-
ვალუტა და დეპოზიტები	13 505,5	0,0	-
აქციები და სხვა კაპიტალი		4,2	-
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-2 765,5</b>	<b>-2 764,8</b>	<b>100%</b>
ზრდა	0,0	0,1	-
საგარეო		0,1	-
კლება	2 765,5	2 764,8	100%
საშინაო	2 765,5	2 764,8	100%
<b>ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	



**ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

(ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება	შესრულების %
<b>შემოსულობები</b>	<b>196 941,9</b>	<b>197 226,5</b>	<b>100,1%</b>
შემოსავლები	179 991,9	180 451,5	100,3%
ფინანსური აქტივების კლება	0,0	4,2	-
არაფინანსური აქტივების კლება	16 950,0	16 770,7	98,9%
<b>გადასახდელები</b>	<b>210 447,4</b>	<b>178 358,6</b>	<b>84,8%</b>
ხარჯები	126 553,2	118 798,5	93,9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	81 128,7	56 795,3	70,0%
ვალდებულებების კლება	2 765,5	2 764,8	100,0%
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-13 505,5</b>	<b>18 867,8</b>	

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის  
ბიუჯეტის შემოსულობები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 197,226.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 77,736.0 ათასი ლარი (შემოსულობების 39.4%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 59,638.5 ათასი ლარი (შემოსულობების 30,2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 43,077.0 ათასი ლარი (შემოსულობების 12,3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) - 16,770.7 ათასი ლარი (შემოსულობების 8,5%) და ფინანსური აქტივების კლებაზე - 4,2 ათასი ლარი.


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>180 451,5</b>	<b>91,5%</b>
1,1	გადასახადები	77 736,0	39,4%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	59 638,5	30,2%
1,3	სხვა შემოსავლები	43 077,0	21,8%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>16 770,7</b>	<b>8,5%</b>
<b>3</b>	<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>4,2</b>	<b>0,0%</b>
<b>4</b>	<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>0,1</b>	<b>0,0%</b>
<b>ჯამი</b>		<b>197 226,5</b>	<b>100%</b>

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:




(ათასი ლარი)



#	შემოსულობების დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	179 991,9	180 451,5	459,6	100,3%
1,1	გადასახადები	70 828,5	77 736,0	6 907,5	109,8%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	79 284,1	59 638,5	-19 645,6	75,2%
1,3	სხვა შემოსავლები	29 879,3	43 077,0	13 197,7	144,2%
2	არაფინანსური აქტივების კლება	16 950,0	16 770,7	-179,3	98,9%
3	ფინანსური აქტივების კლება		4,2	4,2	-
4	ვალდებულებების ზრდა		0,1	0,1	-
<b>ჯამი</b>		<b>196 941,9</b>	<b>197 226,5</b>	<b>284,6</b>	<b>100,1%</b>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში









შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	117 242,4	115 022,2	119 877,0	155 497,8	162 247,9	168 419,0	140 757,1	180 451,5
1,1	გადასახადები	13 937,5	18 819,4	35 081,9	30 914,9	32 055,0	80 404,6	62 478,6	77 736,0
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76 387,1	63 170,7	51 564,0	82 154,5	81 242,1	38 463,2	60 777,6	59 638,5
1,3	სხვა შემოსავლები	26 917,8	33 032,1	33 231,1	42 428,4	48 950,8	49 551,2	17 500,9	43 077,0
2	არაფინანსური აქტივების კლება	362,6	1 626,2	5 064,7	13 139,7	4 779,7	8 824,4	1 410,4	16 770,7
3	ფინანსური აქტივების კლება				0,1				4,2
<b>სულ ჯამი</b>		<b>117 605,0</b>	<b>116 648,5</b>	<b>124 941,7</b>	<b>168 637,5</b>	<b>167 027,5</b>	<b>177 243,5</b>	<b>142 167,5</b>	<b>197 226,3</b>







### შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 196,941.9 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 197,226.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

### გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ [www.batumi.ge](http://www.batumi.ge)



შესრულებაზე მოდის 77,736.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 70,828.5 ათასი ლარის 109.8%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 39.4%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის  
საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

#	შემოსავლის სახე	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება				
											2021 წ. გეგმასთან		2020 წ. ფაქტთან		
											გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%	
1	საშემოსავლო გადასახადი			10 742,6	5 599,5	5 005,9									
2	დამატებული ღირებულების გადასახადები						50 467,5	43 114,3	46 828,5	48 224,3	1 395,8	103,0%	5 110,1	111,9%	
3	ქონების გადასახადი	13 936,5	18 820,2	24 339,2	25 315,4	27 049,1	29 937,2	19 364,3	24 000,0	29 511,7	5 511,7	123,0%	10 147,4	152,4%	
3.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	861,8	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	1 900,0	2 510,7	610,7	132,1%	357,9	116,6%	
3.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	11 376,5	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	20 400,0	24 988,4	4 588,4	122,5%	9 696,9	163,4%	
3.3	მიწის გადასახადი	1 698,2	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	1 700,0	2 012,6	312,6	118,4%	92,7	104,8%	
4	სხვა გადასახადები	1,0	-0,8												
	<b>სულ</b>	<b>13 937,5</b>	<b>18 819,4</b>	<b>35 081,9</b>	<b>30 914,9</b>	<b>32 055,0</b>	<b>80 404,6</b>	<b>62 478,6</b>	<b>70 828,5</b>	<b>77 736,0</b>	<b>6 907,5</b>	<b>109,8%</b>	<b>15 257,5</b>	<b>124,4%</b>	

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

**ქონების გადასახადი** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2021 წლის გეგმიური მაჩვენებელი 24,000.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 29,511.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 123.0%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>24 000,0</b>	<b>29 511,7</b>	<b>5 511,7</b>	<b>123,0%</b>
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	20 400,0	24 988,4	4 588,4	122,5%
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1 900,0	2 510,7	610,7	132,1%
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	1 700,0	2 012,6	312,6	118,4%



საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20,400.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 24,988.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 122.5%-ია.


ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 1,900.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 2,510.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 132.1%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 2,012.6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 118.4%-ია.

(ათასი ლარი)



დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი
<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>13 936,5</b>	<b>18 820,2</b>	<b>24 339,2</b>	<b>25 315,4</b>	<b>27 049,1</b>	<b>29 937,2</b>	<b>19 364,3</b>	<b>29 511,7</b>
საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	11 376,5	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	24 988,4
ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	861,8	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	2 510,7
მიწაზე ქონების გადასახადი	1 698,2	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	2 012,6


ქონების გადასახადის 2021 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2020 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 10,147.4 ათასი ლარით (34%-ით) გაზრდილია. რაც გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქებითა და შედეგად ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებით.






საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მოზილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:





**დამატებული ღირებულების გადასახადი** - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2021 წლის გეგმიური მაჩვენებელი 46,828.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 48,224.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103.0%-ია.





### ფინანსური დახმარება და გრანტები

2021 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 59,638.5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 79,284.1 ათას ლარს, რაც გეგმის - 75.2% შეადგენს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2021 წელს მიღებულ იქნა - 1,548.2 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 57,590.2 ათას ლარს შეადგენს, ასევე მიღებულ იქნა სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ( ქ. თბილისის მერია) – 500.0 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 30.2%-ია.

(ათასი ლარი)

#	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	79 284,1	59 638,5	-19 645,6
1,1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	77 235,9	57 590,2	-19 645,6
	კაპიტალური ტრანსფერი	61 959,0	42 780,5	-19 178,5
	სპეციალური ტრანსფერი	15 207,8	14 740,6	-467,2
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	69,1	69,1	0,0
1,2	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1 548,2	1 548,2	0,0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	1 548,2	1 548,2	0,0
1,3	გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან	500,0	500,0	0,0
	სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან	500,0	500,0	0,0
	<b>ჯამი</b>	<b>79 284,1</b>	<b>59 638,5</b>	<b>-19 645,6</b>



### **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები**

2021 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 57,590.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 42,780.5 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2);**

- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 14,740.6 ათასი ლარი **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3);**

- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 69.1 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 29 აპრილის №722 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ვენერა გორაძის, ანზორ ვარშანიძის, იმედა სარიძის, ამირან სურმანიძის, და გოგი აბულაძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 36 858 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 36 858 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 09 ივნისის №977 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კახაბერ დოლიძის, იზოლდა დუმბაძის და მაკა აბაშიძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 15000 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 000 ლარი (100%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 30 ივლისის №1956 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზაურ მახარაძის, როინ ანთაძის და ეთერ საითაძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 17 224 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 224 ლარი (100%).

### **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები სპეციალური ტრანსფერი**

#### **სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები**

2021 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 1,548.4 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა



და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

### **გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან**

2021 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან - 500.0 ათასი ლარი, ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით.

### **სხვა შემოსავლები**

სხვა შემოსავლების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 29,879.3 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43,077.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 144.2%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 21.8%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 6,979.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,279.1 ათასი ლარი) 132.2%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 4,929.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 2,050.5 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 153.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 1,897.0 ათასი ლარი.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 28,249.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19,460.0 ათასი ლარი) 145.2%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით \_ 28,203.4 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** \_ 1,37.6 ათასი ლარი.

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** \_ 1.3 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 3.4 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** \_ 23,440.8 ათასი ლარი, მათ შორის:

*სათამაშო აპარატებიდან* \_ 12,487,5 ათასი ლარი;


*წამახალისებელი გათამაშებიდან* \_ 28.2 ათასი ლარი;

*კლუბის მაგიდიდან* \_ 251.9 ათასი ლარი;

*სამორინეს მაგიდიდან* \_ 10,663.4 ათასი ლარი;

*სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი* \_ 9.7 ათასი ლარი;





- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 3,199.1 ათასი ლარის ოდენობით.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 421.2 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 46.5 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 6,457.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,150.0 ათასი ლარის) 155.6%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 68.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 52,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 41.0 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 4,157.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 19.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადამყვანის პირობების დარღვევის გამო - 8.9 ათასი ლარი;



სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 706.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 35.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 63.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 604.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 0.4 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 6.1 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 3.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 56.7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 621.5 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) - 13.1 ათასი ლარი;

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები) სახით მიღებულია 1,389.8 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 990.2 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 140%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 293.4 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 0.6 ათასი ლარი;

სხვა მიმდინარე შემოსავალი რომელიც მოიცავ ფულად შემოწირულობებს და სხვა ნებაყოფლობით ტრანსფერებს, რომლებსაც ფიზიკური პირები, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები, არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები, საწარმოები და კორპორაციები (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) გადასცემენ სახელმწიფოს - 333.4 ათასი ლარი;

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 9.8 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგა-სამტებლოდან - 617.6 ათასი ლარი;


ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 0.2 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 8.6 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 126.1 ათასი ლარი;



### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



(ათასი ლარი)


დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება	გადახრა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>33 379,3</b>	<b>46 577,0</b>	<b>13 197,7</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>8 779,1</b>	<b>10 479,5</b>	<b>1 700,4</b>
პროცენტები	4 010,0	4 929,0	919,0
დივიდენდები	3 500,0	3 500,0	0,0
რენტა	1 269,1	2 050,5	781,4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	150,0	153,5	3,5
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1 119,1	1 897,0	777,9
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>19 460,0</b>	<b>28 249,9</b>	<b>8 789,9</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>19 460,0</b>	<b>28 203,4</b>	<b>8 743,4</b>
სანებართვო მოსაკრებელი	500,0	1 137,6	637,6
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	1,3	1,3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	3,4	3,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	15 910,0	23 440,8	7 530,8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	3 050,0	3 199,1	149,1
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		421,2	421,2
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>0,0</b>	<b>46,5</b>	<b>46,5</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0,0	46,5	46,5
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>4 150,0</b>	<b>6 457,9</b>	<b>2 307,9</b>
<b>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>990,2</b>	<b>1 389,8</b>	<b>399,6</b>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>26 917,8</b>	<b>33 032,1</b>	<b>33 231,1</b>	<b>42 428,4</b>	<b>48 950,8</b>	<b>49 551,2</b>	<b>17 500,9</b>	<b>43 077,0</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>3 243,4</b>	<b>3 347,7</b>	<b>1 431,1</b>	<b>1 993,5</b>	<b>3 840,7</b>	<b>4 337,5</b>	<b>5 536,4</b>	<b>6 979,5</b>
პროცენტები	2 639,4	2 430,0	699,3	917,5	1 273,4	1 525,1	1 291,1	4 929,0
დივიდენდები					900,0	838,0	3 500,0	
რენტა	604,1	917,7	731,8	1 076,1	1 667,3	1 974,4	745,2	2 050,5
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	102,2	284,9	154,6	157,3	355,4	145,4	116,3	153,5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	501,9	632,8	577,2	918,7	1 311,9	1 829,1	628,9	1 897,0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>16 340,6</b>	<b>22 932,9</b>	<b>25 445,3</b>	<b>34 028,1</b>	<b>38 689,4</b>	<b>36 480,9</b>	<b>5 785,8</b>	<b>28 249,9</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>16 334,3</b>	<b>22 927,1</b>	<b>25 444,4</b>	<b>34 011,4</b>	<b>38 684,1</b>	<b>36 476,4</b>	<b>5 781,5</b>	<b>28 203,4</b>
სანებართვო მოსაკრებელი	468,9	525,1	435,8	450,9	449,3	1 123,8	1 320,7	1 137,6
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1,9	3,5	3,0	3,0	2,8	2,5	1,3	1,3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5,0	3,4	2,4	4,4	2,0	3,0	1,0	3,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	13 644,9	20 167,5	21 835,4	30 630,2	36 174,5	31 967,1	1 724,5	23 440,8
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	943,5	687,5	1 458,6	1 074,0	238,9	636,8	2 247,3	421,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1 270,1	1 540,0	1 709,3	1 848,7	1 816,6	2 743,1	486,7	3 199,1
სხვაარაკლასიფიცირებული მოსაკრებელი				0,2				0,0
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>6,3</b>	<b>5,8</b>	<b>0,9</b>	<b>16,7</b>	<b>5,3</b>	<b>4,6</b>	<b>4,3</b>	<b>46,5</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	6,3	5,8	0,9	16,7	5,3	4,6	4,3	46,5
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>4 871,8</b>	<b>4 901,6</b>	<b>4 187,9</b>	<b>4 947,8</b>	<b>4 486,2</b>	<b>6 527,8</b>	<b>4 379,1</b>	<b>6 457,9</b>
<b>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>2 462,0</b>	<b>1 849,9</b>	<b>2 166,8</b>	<b>1 458,9</b>	<b>1 934,5</b>	<b>2 205,0</b>	<b>1 799,6</b>	<b>1 389,8</b>



სხვა შემოსავლების დინამიკაც ეტაპობრივად უზრუნდება პანდემიამდელ პერიოდს, 2020 წელთან შედარებით იგი გაზრდილია - 25,576.1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია საანგარიშო პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქებითა და შედეგად ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებით.

#### არაფინანსური აქტივების კლება

2021 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 16,770.7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (16,950.0 ათასი ლარის) 98,9% -ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 8.5%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან.

#### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 14,370.3 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 13,505.5 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 18,863.7 ათასი ლარი,




შესაბამისად 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 33,238.1 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2021		14 370,3
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-13 505,5</b>	<b>18 867,9</b>
ზრდა	0,0	18 867,9
ვალუტა და დეპოზიტები		18 867,9
კლება	13 505,5	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	13 505,5	
ნაშთი 01.01.2022		33 238,1



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში  
ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):








**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
(ათასი ლარი)

#	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
<b>1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>14 064,1</b>	<b>12 345,1</b>	<b>87,8%</b>	<b>7,0%</b>
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7 052,6	6 178,9	87,6%	3,5%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	6 772,7	5 986,7	88,4%	3,4%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	179,5	179,5	100,0%	0,1%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	59,3	0,0	0,0%	0,0%
<b>2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>19,7</b>	<b>8,4</b>	<b>42,6%</b>	<b>0,00%</b>
<b>3</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>75 353,5</b>	<b>61 922,5</b>	<b>82,2%</b>	<b>35,3%</b>
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	10,0	6,8	68,4%	0,0%
3.2	ტრანსპორტი	74 783,1	61 431,3	82,1%	35,0%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	560,4	484,3	86,4%	0,3%
<b>4</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>20 588,8</b>	<b>17 888,6</b>	<b>86,9%</b>	<b>10,2%</b>
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	10 112,5	10 078,1	99,7%	5,7%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	10 476,3	7 810,5	74,6%	4,4%
<b>5</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>33 309,4</b>	<b>26 560,2</b>	<b>79,7%</b>	<b>15,1%</b>
5.1	ბინათმშენებლობა	1 954,3	258,7	13,2%	0,1%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	9 414,8	8 070,0	85,7%	4,6%
5.3	წყალმომარაგება	9 841,7	7 412,5	75,3%	4,2%
5.4	გარე განათება	8 097,9	7 440,8	91,9%	4,2%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	4 000,7	3 378,2	84,4%	1,9%
<b>6</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>4 822,1</b>	<b>4 322,6</b>	<b>89,6%</b>	<b>2,5%</b>
<b>7</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>29 690,7</b>	<b>25 365,3</b>	<b>85,4%</b>	<b>14,4%</b>
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	20 468,3	16 795,6	82,1%	9,6%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	8 910,5	8 372,9	94,0%	4,8%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	311,9	196,8	63,1%	0,1%
<b>8</b>	<b>განათლება</b>	<b>16 727,9</b>	<b>14 784,8</b>	<b>88,4%</b>	<b>8,4%</b>
<b>9</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>13 105,7</b>	<b>12 396,3</b>	<b>94,6%</b>	<b>7,1%</b>
<b>გადასახდელის ჯამი</b>		<b>207 681,9</b>	<b>175 593,8</b>	<b>84,5%</b>	<b>100,0%</b>



### ქ. ბათუმის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე** 2021 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,064.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 12,345.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 87.8%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 7.0%-ს.

**თავდაცვის სფეროსათვის** გათვალისწინებული იყო 19.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8.4 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 42.6%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირების ხარჯებს.

**ეკონომიკური საქმიანობისათვის** დაგეგმილი იყო 75,353.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 61,922.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 82,2%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 35,3%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, დასაქმების ხელშეწყობისა და ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

**გარემოს დაცვაზე** გათვალისწინებული იყო 20,588.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 17,888.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86.9%. ამ სფეროში [www.batumi.ge](http://www.batumi.ge)



გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.2%-ს.

**საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე** გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 33,309.4 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 26,560,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79,7%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.1%ს.

**ჯანმრთელობის სფეროს** დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 4,822.1 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 4,322.6 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 89,6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2,5%-ს.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის** სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 17,031.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 15,524.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.2%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 11.2%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 16,727.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 14,784.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 88,4%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8,4%-ს.

**სოციალურ დაცვაზე** დაგეგმილი იყო 13,105.7 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 12,396.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7,1%-ს.

**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:


(ათასი ლარი)




#	გადასახდლების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	126 553,2	118 798,5	93,9%	66,6%
1	შრომის ანაზღაურება	25 504,3	24 983,2	98,0%	14,0%
2	საქონელი და მომსახურება	43 755,9	40 439,7	92,4%	22,7%
3	პროცენტი	179,5	179,5	100,0%	0,1%
4	სუბსიდიები	16 001,8	15 891,2	99,3%	8,9%
5	გრანტები	15,0	4,8	31,9%	0,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	10 977,6	9 875,6	90,0%	5,5%
7	სხვა ხარჯები	30 119,2	27 424,6	91,1%	15,4%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	81 128,7	56 795,3	70,0%	31,8%
III	ვალდებულებების კლება	2 765,5	2 764,8	100,0%	1,6%
გადასახდლების ჯამი		210 447,4	178 358,6	84,8%	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები

(საკასო შესრულება - 178,358.8 ათასი ლარი)



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები  
(საკასო შესრულება 178,358.6 ათასი ლარი)**



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 118,798.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 126,553.2 ლარის 93.9%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 66.6%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25,504.3 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 14.0%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 40,439.7 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 22.7%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 179.5 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.1%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 15,891.2 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.9%.

გრანტებზე მიიმათა 4.8 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9,875.6 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის \_ 5.5%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 27,424.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 15.4%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 56,795.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,128.7 ათასი ლარის 70.0%-ია, მთლიანი გადასახდელების \_ 31.8%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 2,764.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 2,765.5 ათასი ლარის 100.0%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში \_ 1.6%.



## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>10 076,6</b>	<b>9 131,5</b>	<b>945,0</b>	<b>90,6%</b>
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 733,6	1 467,4	266,2	84,6%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5 286,4	4 711,5	574,9	89,1%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2 945,0	2 944,3	0,7	100,0%
01 04	სარეზერვო ფონდი	32,6	0,0	32,6	0,0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	59,3	0,0	59,3	0,0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	19,7	8,4	11,3	42,6%
<b>02 00</b>	<b>მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>118 389,5</b>	<b>95 555,3</b>	<b>22 834,2</b>	<b>80,7%</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	53 913,0	41 204,1	12 708,9	76,4%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	28 968,0	27 668,0	1 300,0	95,5%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	20 318,0	15 223,0	5 095,0	74,9%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	10 231,3	7 591,0	2 640,3	74,2%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	560,4	484,3	76,1	86,4%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	2 600,5	2 111,0	489,5	81,2%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	1 798,3	1 273,9	524,4	70,8%
<b>03 00</b>	<b>ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>23 705,4</b>	<b>20 779,4</b>	<b>2 926,0</b>	<b>87,7%</b>
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	10 112,5	10 078,1	34,4	99,7%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	13 592,9	10 701,3	2 891,6	78,7%
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>16 727,9</b>	<b>14 784,8</b>	<b>1 943,1</b>	<b>88,4%</b>
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	16 613,9	14 672,0	1 941,9	88,3%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	100,0	100,0	0,0	100,0%



04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	14,0	12,8	1,2	91,2%
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>	<b>16 097,8</b>	<b>14 664,0</b>	<b>1 433,8</b>	<b>91,1%</b>
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4 279,7	4 117,8	161,9	96,2%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	5 194,7	4 495,9	698,8	86,5%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2 461,9	2 276,2	185,7	92,5%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2 378,3	2 327,0	51,3	97,8%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	1 471,3	1 250,2	221,1	85,0%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	311,9	196,8	115,1	63,1%
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>18 659,5</b>	<b>17 444,6</b>	<b>1 214,9</b>	<b>93,5%</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4 716,4	4 219,7	496,7	89,5%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	13 115,7	12 403,2	712,6	94,6%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	827,4	821,7	5,6	99,3%
<b>07 00</b>	<b>ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება</b>	<b>518,0</b>	<b>12,2</b>	<b>505,8</b>	<b>2,4%</b>
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	518,0	12,2	505,8	2,4%
<b>08 00</b>	<b>მუნიციპალური სერვისების განვითარება</b>	<b>6 272,7</b>	<b>5 986,7</b>	<b>286,0</b>	<b>95,4%</b>
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	6 272,7	5 986,7	286,0	95,4%
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>210 447,4</b>	<b>178 358,6</b>	<b>32 088,8</b>	<b>84,8%</b>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელების) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №4).



### III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

#### წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)  
ხარჯებმა შეადგინა 1,467.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,733.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 84.6%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 929.6 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 421.5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 17.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 99.1 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 4,711.5 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5,286.4 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 89.1%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3,219.8 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1,438.0 ათასი ლარი, გრანტებზე - 4.8 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 34.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 7.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 7.5 ათასი ლარი.

#### სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

##### **გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)**

- პროგრამის განმახორციელებელი:  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
- პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების დაფარვის ხარჯები 2021 წელს მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, არსებული სასესხო ვალდებულებების (2021 წლისათვის გადასახდელი ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადები გადაწეულ იქნა შემდგომ წლებზე, საურავების დარიცხვის გარეშე.

- მიღწეული შედეგები:  
სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

##### **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)**

- პროგრამის განმახორციელებელი:  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,945.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,944.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%.

- პროგრამის აღწერა:  
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ





შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 179.5 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 2,764.8 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

**წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 19,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 42.6%. შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია წვევამდელთა გადაყვანის მომსახურების რაოდენობაზე, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით, მოხდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. გაწვევის პუნქტამდე გადაყვანილ იქნა 192 წვევამდელი და ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებულა 17 რეისი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

**სარეზერვო ფონდი**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2,450,000 ლარს შეადგენდა, რაც 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 1.2%-ია. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლიც არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნებებში.

2021 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 2,417,450 ლარი შეადგინა, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №5).**

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აღსრულების ფონდი 100,000 ლარს შეადგენდა, ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 40,679 ლარი შეადგინა, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №6).**



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება დეტალური ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის.**

**პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 01-02 01 04)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 2,076.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,287.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 62.0%; ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების შესრულების დაბალი მაჩვენებლით.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩებში შეკეთდა 20937 კვ.მ. ორმული და 5184 კვ.მ. რკ.ბეტონის ფილა.

წლის განმავლობაში განხორციელდა 420 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

შენარჩუნებულია ქუჩებისა და გზების ინფრასტრუქტურა ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში.

ქ. ბათუმი, მეჯინის არხზე აეროპორტის გზატკეცილის ხიდიდან გ. ლორთქიფანიძის 150ა-მდე (არხის ორივე სანაპიროზე) და გ. ლორთქიფანიძის N150ა-დან გ. ლორთქიფანიძის N25-მდე (მარცხენა სანაპირო) დამცავი კედლის მოწყობა - ღონისძიების დაფინანსება 2021 წელს არ განხორციელებულა.

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილიდან ბეთლემის ქუჩამდე მეჯინისწყლის არხზე დამცავი კედლის მოწყობა -- მოეწყო 1775 კვ.მ. ფერდსამაგრი კედელი.

შარაშიძის ქ. #12-ს მიმდებარედ, სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 196 მ. რკ/ბეტონის მილები, 1,34 კვ.მ. ჭები, 10 ც. თუჯის ცხაურა ლიუკები ოთხკუთხა ჩარჩოთი და 30 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის და ადლიის ქუჩის შემაერთებელი ქუჩის მიმდებარედ მდინარე მეჯინისწყლამდე სანიაღვრე არხის მოწყობა - მოეწყო 209 მ.



რკ/ბეტონის მილები, 29,72 კვ.მ. წყალმიმღები ჭები, 15 ც. თუჯის ცხაურა ლიუკი და 500 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი.

ქ. ბათუმი, დ. ბაქრაძის ქუჩაზე დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები - ღონისძიება არ განხორციელებულა.

ქ. ბათუმი, ზ. ნაჭყებიას ქუჩა N5ა - მოეწყო 20,30 კვ.მ. ხიდბოგირი, 5,78 კვ.მ. სავალ ნაწილზე ფილა, 108 კვ.მ. ხიდთან მისასვლელელები, 13,8 კვ.მ. მოაჯირი, 226,5 კვ.მ. სანიაღვრე არხის კედელი.

ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება N25 - მოეწყო 60 კვ.მ. რკ/ბეტონის სანიაღვრე არხი, 5,76 კვ.მ. რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის ფილა და 5 კვ.მ. ფერდსამაგრი კედელი.

ქ. ბათუმი, ანა კალანდაძის N51 - მოეწყო 19,8 კვ.მ. რკ/ბეტონის სანიაღვრე არხი, 5,95 კვ.მ. რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის ფილა და 3 კვ.მ. ბეტონის მონოლითური ფილა.

ქ. ბათუმი, მახინჯაურის დასახლება, კონცელიძის N29 - მოეწყო 230,2 კვ.მ. სანიაღვრე არხის კედლები და სანიაღვრე არხზე 3,3 კვ.მ. რკ/ბეტონის ფილა.

ქ. ბათუმი, სერგი მესხის N98 - ღონისძიება არ განხორციელებულა.

ქ. ბათუმში, დიდგორის ქ. N16-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის ფერდსამაგრი კედლის მოწყობა - ღონისძიება არ განხორციელებულა.

თოდოგაურის N4-თან დაწყებითი სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის აღდგენა - ღონისძიება არ განხორციელებულა.

მახვილაურის ქ. N13-14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის აღდგენა - - ღონისძიება არ განხორციელებულა.

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული საგარანტიო თანხები) - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

**➤ მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა სანიაღვრე ქსელის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და უზრუნველყოფილ იქნა სანიაღვრე არხების მოვლა-ექსპლუატაცია.

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02-02 03 06)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია  
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 48.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 48.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

**➤ პროგრამის აღწერა:**



წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული საგარანტიო თანხები) - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესდა მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურება.

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 9,793.2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7,364.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 75.2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შპს "ბათუმის წყალი-ს" სუბსიდირება - განხორციელდა ბათუმის წყლის სუბსიდირება 2 000 000 ლარის ოდენობით.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების ფარგლებში განხორციელდა დღგ-ს და სხვა გადასახადების თანადაფინანსება და ასევე, KfW ბანკთან შეთანხმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება.

საერთო ჯამში ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტით გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში (KfW) თანამონაწილეობასთან ერთად 2021 წელს დასრულდა გასულ წლებში დაწყებული III და IV ფაზების სამუშაოები, კერძოდ:

დასრულდა ჯავახიშვილის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია. ჯამში მოეწყო 1593 გრძ.მ ქსელი და წყალარინების ქსელი სიგრძით 578 გრძ.მ.

დასრულდა არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე სატუმბი სადგურისა და ზღვაში გამსვლელი მილის მშენებლობა.

დასრულდა წყალარინების ცენტრალური და სამომხმარებლო ქსელის რეაბილიტაცია;

დასრულდა ჯავახიშვილის ქუჩიდან მდინარე მეჯინისწყლამდე, A და B კოლექტორების ახალი ხაზის სამუშაოები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება მიმდინარეობს შეუფერხებლად და შენარჩუნებულია წყალმომარაგების არსებული ტარიფები.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)**

**საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 01-02 04 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 1,954.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 258.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 13.2%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) შესრულების დაბალი მაჩვენებლით და ასევე რიგი ღონისძიებების შესყიდვისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მოზადების/ცვლილებების სპეციფიკით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ქ. ბათუმში 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე საოჯახო ტიპის სახლისა და ეზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. N82-ში მდებარე-შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოები.

2021 წელს დაიწყო ქ. ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქ. N82-ში სოციალური სახლების (4 ერთეული სახლის) მშენებლობა (მრავალწლიანი შესყიდვა).

ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობის სამუშაოები შესყიდვა დაიწყო 2021 წელს (მრავალწლიანი შესყიდვა).

ურების ყოფილი ინტერნატის მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულთა ცენტრად რეკონსტრუქციის სამუშაოები დაიწყო 2021 წელს (მრავალწლიანი შესყიდვა).

საცხოვრებელი კორპუსების შემდგომი ადმინისტრირება და შესაბამის ბენეფიციარებზე გადაცემა განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (ხელმისაწვდომი საცხოვრისი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დასრულდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა.

**ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 02 04 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

აა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 30.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 30.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%. ორგანიზაცია იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში, აღნიშნული თანხით მოხდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის დაფარვა.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 8,247.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7,302.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 88.5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - ცხრა მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლის სახურავი იქნა რეაბილიტირებული.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - სამოცდაექვს მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლსა და ეზოში შეიცვალა კომუნალური სისტემა.

მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი - დამონტაჟდა 16 ერთეული ლიფტი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა - ეზოში 13 მისამართზე მოეწყო გარე განათება.

საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტისა და ლითონის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა - ოცდაცხრამეტ საცხოვრებელ სახლზე, დაზიანებული აზბესტისა და ლითონის ფურცლების ნაცვლად აკრულ იქნა ლითონის პროფილური ფურცელი.

ეზოს შესასვლელებში ახალი ჭიშკრების შეძენა- მონტაჟი - შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 8 ერთეული ჭიშკარი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - 40 ერთეული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დამონტაჟდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ატრაქციონებს.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის ფანჩატურების შეძენა (განლაგება) - ეზოებისათვის შეძენილ და განლაგებულ იქნა 92 ც. ფანჩატური.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის სკამების შეძენა (განლაგება) - ეზოებისათვის შეძენილ და განლაგებულ იქნა 78 ც. საბაღე სკამი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დაიგო 67564 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; შეიცვალა/შეკეთდა 700 კვ.მ. ფილა და 70 გრძივი მეტრი ბორდიური;

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N86ა-ში მდებარე შენობის გამაგრება-გადლიერება.

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N13-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვა.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

**მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.



**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)**

**მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 560.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 484.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86.4%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

1. ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მოვლა-პატრონობაში გასულ წელს პერიოდულად ხორციელდებოდა ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭა, ყველა სასაფლაოს განყოფილება უზრუნველყოფილია საცელავი აპარატითა და საწვავით, ასევე სუფთავდებოდა მისასვლელი ბილიკები, გზები. შეძენილი იქნა საჭირო სამუშაო იარაღები, სპეცტანსაცმელი. განხორციელდა ე.წ. ებრაელების სასაფლაოს გაწმენდა, საჭიროების შესაბამისად განხორციელდა სხვადასხვა სასაფლაოებზე მოვლა-პატრონობის სამუშაოები. მიმდინარეობს ჩაქვის სასაფლაოს ექსპლოატაციაში შესვლისათვის გეოლოგიური დასკვნის განხილვა.

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა - აღნიშნული ღონისძიებით განხორციელდა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა. მოხდა მათი რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება. გასულ წელს დაიკრძალა 17 უპატრონო მიცვალებული.

**➤ მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომია მუნიციპალური სასაფლაოების მომსახურეობა და სერვისი.

**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)**

**ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,480.7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,385.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.6%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ადმინისტრირება და მართვა: გაცა შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურეობის და სოციალური უზრუნველყოფის თანხები.

**მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)**



**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,119.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 725.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 64.8%. საანგარშო პერიოდში მიმწოდებელმა კომპანიებმა ვერ შესძლეს დაფინანსებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა, რამაც განაპირობა პროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

**➤ პროგრამის აღწერა:**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 13 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 100 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 31 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შედგენილია 126 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 35 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 6 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია ერთი ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კონკურსები და კვლევები - ქალაქ ბათუმის ქუჩებში განხორციელდა გარე განათების სისტემაში LED განათებით ჩანაცვლების და გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია უზრუნველყოფის კვლევის მომსახურება.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების და შენობა-ნაგებობების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა 74 ერთეულ ავარიულ სახლსა და შენობა-ნაგებობას.

ქ. ბათუმში, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება - სამივე მისამართზე განხორციელდა საძიებო-საკვლევო ჭაბურღილების მოწყობა დაზგით, საძიებო-საკვლევო ჭაბურღილების მოწყობა მოტობლოკით და საძიებო-საკვლევო შურფების მოწყობა 1,5 მ. სიღრმემდე.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

**მიღწეული შედეგები:**





მომზადდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)**

**ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,139.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 709.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 62.2%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების შესრულების დაბალი მაჩვენებლით, შესაბამისად მიწოდებელს დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

**➤ პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ერთი კომპლექტი ნაძვის ხის და მანათობელი აქსესუარის, 28 ცალი თაღოვანი კონსტრუქციის, 1210 ცალი გირლიანდის, 105 ცალი მანათობელი აქსესუარის, 674 ცალი საახალწლო აქსესუარის (ქუჩებში), 14 ცალი დეკორატიული ჭადის, 6 ცალი დეკორატიული საშობაო ირემის, 6 ცალი დეკორატიული მოტივის, 12 ცალი დეკორატიული ანგელოზის, 80 ცალი დეკორატიული ვარსკვლავის, 12 ცალი დეკორატიული დელფინის, 60000 მეტრი დეკორატიული გირლიანდის და 100 ცალი დეკორატიული მანათობელი ბაფთა მანათობელი შლანგითა და გირლიანდებით დემონტაჟი.

მოეწყო ნაძვის ხე; ქალაქის ქუჩებში, შენობების ფასადებსა და სკვერებში დამონტაჟდა 105 ცალი მანათობელი აქსესუარი, 4300 ცალი გირლიანდი, 674 ცალი საახალწლო აქსესუარი, 28 ცალი თაღოვანი კონსტრუქცია, 14 ცალი დეკორატიული ჭადი, 600 ცალი დეკორატიული გირლიანდი თაღებზე, 6 ცალი დეკორატიული საშობაო ირემი, 6 ცალი დეკორატიული მოტივი, 80 ცალი დეკორატიული ვარსკვლავი, 12 ცალი დეკორატიული დელფინი და 15 000 მ. დეკორატიული გირლიანდი.

ქ. ბათუმში ევროპის მოედანზე არსებული „მედეა“-ს ძეგლის კვარცხლბეკის ადრე მოპირკეთებული ფილების ანალოგიური ფილებით მოპირკეთების და „მედეა“-ს ქანდაკების (მეტალის ელემენტების) რესტავრაციის სამუშაოები - დემონტაჟი ჩაუტარდა და გატანილ იქნა 433 კვ.მ. მარმარილოს ფილა და ბათქაში; მოეწყო 155 კვ.მ. მარმარილოს ბუნებრივი ფილა; გაწმენდილ და დამუშავებულ იქნა ბრინჯაოს ქანდაკების და სვეტებზე განთავსებული ბრინჯაოს რელიეფური კომპოზიციების ზედაპირები, განხორციელდა ქანდაკების პატენირება შესაბამისი ქიმიური ხსნარებით და პატენის კონსერვაციისათვის მოეწყო დამცავი ფენა. მომწოდებელმა კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ აწარმოა სამუშაოები, დაერიცხა პირგასამტეხლო (ჯარიმა).

ქ. ბათუმში, ალ. პუშკინის და პ. ლორიას ქუჩების კვეთაში უგზოუკვლოდ დაკარგულთა მემორიალის მოწყობა - სამუშაოების წარმოება არ დაწყებულა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები ვერ აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (დაერიცხათ პირგასამტეხლო (ჯარიმა)).

**➤ მიღწეული შედეგები:**



განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

**ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 07 04)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 659.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 564.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85.7%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა: ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავების სამუშაოებს. ყოველთვიურად იწმინდებოდა და სუფთავდებოდა 7 ერთეული ძეგლი, 17 ერთეული ბიუსტი და ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში არსებულ სკვერში განლაგებული 8 ცალი ქანდაკება; გაიწმინდა და გასუფთავდა წარწერებისა და ლაქებისაგან შენობების ფასადები და კედლები 26872 მ<sup>2</sup>; დამზადდა და დამონტაჟდა 2 ცალი მემორიალური დაფა 9 აპრილის მემორიალზე; დამზადდა და დამონტაჟდა 6 ცალი შრიფტული, მისასალმებელი და სააგიტაციო დაფა; დამზადდა და დამონტაჟდა 82 ცალი ქუჩის მიმანიშნებელი ბანერი, 1686 ცალი ნუმერაციის დაფა; შეკეთდა ქუჩის დაზიანებული მანიშნებელი - 100 ცალი.

განხორციელდა ქალაქში არსებული სტაციონალური ფლამტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და მონტაჟი (1.5მ<sup>2</sup> X 1.00 მ<sup>2</sup>) 212 ცალი; არასტანდარტული ზომის (9X6) დროშების შეკერვა და გამოფენა - 12 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლამტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და მონტაჟი (1.5მ<sup>2</sup> X 2 მ<sup>2</sup>) 160 ცალი; გზაგამყოფ ზოლში მარტულლები (0.5მ<sup>2</sup> X 0.7 მ<sup>2</sup>) 3100 ცალი; ქალაქში არსებული წრიული სადგარებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და მონტაჟი (1.5მ<sup>2</sup> X 2 მ<sup>2</sup>) - 320 ცალი; სტაციონალური ფლამტოკები -12 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლამტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და მონტაჟი (1.5მ<sup>2</sup> X 2 მ<sup>2</sup>) - 16 ცალი; არასტანდარტული ზომის (9X6) დროშების შეკერვა და გამოფენა - 4 ცალი; გზაგამყოფ ზოლში მარტულლები (0.5მ<sup>2</sup> X 0.7 მ<sup>2</sup>) 1210 ცალი.

განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოება: შეკეთდა საბაღე სკამი - 670 ცალი; შეკეთდა ფანჩატური - 147 ცალი; შეკეთდა სახურავი - 102 მისამართზე, მათ შორის - წყალსაწრეტი მილები - 47 მისამართზე, წყალშემკრები ღარები - 13 მისამართზე; შეკეთდა განათების სისტემა - 25 მისამართზე; შადრევნების გაწმენდითი სამუშაოები ხორციელდებოდა კვირაში ორჯერ; სპორტული მოედნები: სრული რეაბილიტაცია - 19 მისამართზე და სხვადასხვა ტიპის სამუშაოები - 21 მისამართზე; შეკეთდა ატრაქციონი - 78 მისამართზე; დამატებით შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები - 26 მისამართზე.

ქალაქის მასშტაბით რეგულარულად მიმდინარეობს ადმინისტრაციულ ერთეულებში ატრაქციონებისა და ტრენაჟორების აღწერა და მონიტორინგი. კერძოდ, მონიტორინგი ჩატარდა 14 ადმინისტრაციულ ერთეულში ატრაქციონებს და ტრენაჟორებს: აეროპორტის ადმინისტრაცია - 6 მისამართი, აღმაშენებლის ადმინისტრაცია - 22 მისამართი, ბაგრატიონი ერთის ადმინისტრაცია - 14 მისამართი, ბაგრატიონი ორის ადმინისტრაცია - 12 მისამართი, ბონი-გოროდოკის ადმინისტრაცია - 8 მისამართი, გონიო-კვარიათის ადმინისტრაცია - 13 მისამართი, თამარის



ადმინისტრაცია - 22 მისამართი, კახაბრის ადმინისტრაცია 6 მისამართი, მწვანე კონცხის ადმინისტრაცია - 7 მისამართი, რუსთაველის ადმინისტრაცია - 21 მისამართი, სამრეწველოს ადმინისტრაცია - 16 მისამართი, ძველი ბათუმის ადმინისტრაცია - 7 მისამართი, ხიმშიაშვილის ადმინისტრაცია - 14 მისამართი, ჯავახიშვილის ადმინისტრაცია - 19 მისამართი; მონიტორინგი ჩაუტარდა 50 სკვერს. გარეგანათების ბოძი დემონტირებული 20 ცალი;

**➤ მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

**ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)**

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10,112.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,078.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

**➤ მიღწეული შედეგები:**

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

**პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7,949.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5,324.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67.0%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) შესრულების დაბალი მაჩვენებლით და ასევე რიგი ღონისძიებების შესყიდვისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მოზადების/ცვლილებების სპეციფიკით.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა - დაიფარა საოფისე ხარჯები და შეძენილ იქნა სამშენებლო მასალები.

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის დაიფარა ხარჯები.

ინასარიძის ქუჩა #3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 16 ცალი სანიაღვრე ჭა, 1,28 კბ.მ. სანიაღვრე ჭების რკინა-ბეტონის თავსახური, 286,3 გრძ.მ. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის სანიაღვრე მილი, 572 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1394 კვ.მ. ფილა, 797,3 გრძ.მ. ბორდიური, 190 კვ.მ. საბავშვო და სატრენაჟორო მოედანზე კაუჩუკის საფარი, ერთი კომპლექტი ახალი სავარჯიშო ტრენაჟორი, 19 ცალი საპარკე სკამი, 15 ცალი სანაგვე ურნა, 883 კვ.მ. მწვანე კორდი, 17 ცალი სანათი, 22 ცალი მინათება, 10 კბ.მ. შადრევნის რკინა-ბეტონის ავზი, 220 გრძ.მ. სხვადასხვა დიამეტრის პლასტმასის წყალმომარაგების მილი, 2,098 ტ. შადრევნის ცხაურის საყრდენი ლითონკონსტრუქციები და ცხაურა, 37 ცალი წყალქვეშა სანათი, 35 კვ.მ. ბეტონის მჭიმი, 255 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა არსებულ ლითონის კარკასზე და 2 ცალი შესასვლელი კარი; შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 3 ცალი სპორტული ინვენტარი.

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 1109 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 944 კვ.მ. ფილა, 833 გრძ.მ. ბორდიური, 956 კვ.მ. მწვანე კორდი, 164 გრძ.მ. პლასტმასის სანიაღვრე მილი, 13 ცალი სანიაღვრე ჭა თუჯის ცხაურა ოთხკუთხედი ჩარჩოთი, 22 ცალი სანაგვე ურნა, 26 ცალი საპარკე სკამი, ერთი კომპლექტი შლაგბაუმი, 4,5 გრძ.მ. კბილანა ბარიერი, 16 ცალი სანათი და 2 კომპლექტი საბავშვო ატრაქციონი.

ქ. ბათუმში, ი. კობალაძის ქ #9-ის მიმდებარედ, (ს.კ. 05.24.07.032) მიწის ნაკვეთზე სკვერის მოწყობა - მოეწყო 1062,9 კვ.მ. ფილა, 54,1 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილის საფარი, 612,5 გრძ.მ. ბორდიური, ერთი კომპლექტი შადრევანი, 70 გრძ.მ. პლასტმასის მილები, 14 ცალი საპარკე სკამი, 17 ცალი სანაგვე ურნა, 219,3 კვ.მ. მწვანე კორდი, 11 ცალი სანათი და 18 ცალი მინათება.

ქ. ბათუმში, ზედალელს ქ. N16-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 9 ცალი სანიაღვრე ჭა თუჯის ცხაურა ოთხკუთხედი ჩარჩოთი, 130,2 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 288,7 კბ.მ. დამცავი კედლები, 259,9 კვ.მ. დეკორატიული მოაჯირი, 200 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 49 კვ.მ. გრანიტის ფილა კედელზე, 832,5 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 707 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 21 ცალი დეკორატიული სკამი, 11 ცალი სანაგვე ურნა, 520 კვ.მ. მწვანე კორდი, 26 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით, 10,8 კბ.მ. რკ/ბეტონის ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 345,6 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა, 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი



საფეხბურთო კარი, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 277,3 კვ.მ. ბეტონის მჭიმში, 285 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი და 2 ერთეული ფანჩატური.

ქ. ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქ. N2ა-4-6 (ძველი სასამართლოს შენობის წინ) სკვერის მოწყობა - მოეწყო 565 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 293 კვ.მ. კაუჩუკის მონოლითური მოზაიკისებრი საფარი, 2 კომპლექტი საბავშვო ატრაქციონი, 1 კომპლექტი სავარჯიშო ტრენაჟორები, 5 ცალი ფანჩატური, 25 ცალი დეკორატიული სკამი, 18 ცალი სანაგვე ურნა, 1185 კვ.მ. მწვანე კორდი, 29 ცალი ელ. განათების დეკორატიული ბოძი სანათებით, 627 კვ.მ. ფილა და 550 გრძ.მ. ბორდიური; 7 ცალი ჭა მოყვანილ იქნა საპროექტო ნიშნულზე და დამონტაჟდა 2,24 კვ.მ. რ/ბეტონის ჭების თავსახურავები.

ქ. ბათუმში, ზ. გორგილადის ქ. N94-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 59 კვ.მ. ფილა, 103 გრძ.მ. ბორდიური, 6,2 კვ.მ. რ/ბეტონის მჭიმში, 41,3 კვ.მ. კაუჩუკის მონოლითური საფარი, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 4 ც. საპარკე სკამი, 4 ც. სანაგვე ურნა, 54 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ცალი ელ. განათების ბოძები სანათებით.

ქ. ბათუმში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე ანგისის ხიდის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 284 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 568 კვ.მ. ფილა, 399,3 გრძ.მ. ბორდიური, 88,2 კვ.მ. მოაჯირი, 13 ცალი დეკორატიული სკამი, 6 ცალი სანაგვე ურნა, 719 კვ.მ. მწვანე კორდი, 113 გრძ.მ. პლასტმასის სანიაღვრე მილი, 8 ცალი სანიაღვრე ჭა თუჯის ცხაურა ოთხკუთხედი ჩარჩოთი და 13 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში მარკოზ აჭარელის N6-ის (ყოფილი ქავთარაძის ქ. N6) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის და დასასვენებელი სკვერის მოწყობა - მოეწყო 8 ცალი სანიაღვრე ჭა, 149,6 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილები, 66,9 კვ.მ. დამცავი კედელი, 112,2 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 750 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 397 გრძ.მ. ბორდიური, 72 კვ.მ. შემოღობვა მავთულბადით ლითონის დგარებზე, 1 კომპლექტი საბავშვო ატრაქციონი, 59 გრძ.მ. საპარკე სკამი, 5 ცალი სანაგვე ურნა, 483 კვ.მ. მწვანე კორდი, 13,8 კვ.მ. რ/ბ ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 441,6 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადით ლითონის დგარზე, 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 490,3 კვ.მ. ბეტონის მჭიმში გლინულა ბადით, 9 ცალი ელ. განათების ბოძები სანათებით; მოიხვეწა 490,3 კვ.მ. მოედნის ბეტონის ზედაპირი და დაიხაზა.

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა - ტენდერი ჩატარდა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას (მრავალწლიანი შესყიდვა).

შ. ხიმშიაშვილის ქ. N21-23/ ინასარიძის ქ. N12-14-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 939 კვ.მ. ფილა, 712 გრძ.მ. ბორდიური, 9,36 კვ.მ. რ/ბეტონის მჭიმში, 62,4 კვ.მ. კაუჩუკის მონოლითური საფარი, 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 6 ც. საპარკე სკამი, 6 ც. სანაგვე ურნა, 12 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით, 4 ცალი პროექტორული სანათი, 311,16 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადე უჯრედით, 2 ცალი საფეხბურთო კარებზე ბადე, 2 ცალი საკალათბურთო ფარებზე რგოლი, 647,7 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

თამარ მეფის გამზირი N20-ში სკვერის მოწყობა - ღონისძიება არ განხორციელებულა.

თამარ მეფის გამზირი N45-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 359 გრძ.მ. ბორდიური და 6 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით.



სვიმონ კანანელის ქ. N1ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 150 კვ.მ. ფილა, 205,8 გრძ.მ. ბორდიური, 126,9 კვ.მ. კორდი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით.

ლეონიძის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა - მოეწყო 11 ცალი სანიაღვრე ჭა, 213,8 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, 572 კვ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარი, 1326,8 კვ.მ. ფილა, 511 გრძ.მ. ბორდიური, 20 ც. სკამი, 10 ც. სანაგვე ურნა, 954,8 კვ.მ. მწვანე კორდი და 13 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით.

ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქ. N24-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 11 ცალი სანიაღვრე ჭა, 172,4 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, 231 კვ.მ. ასფალტო-ბეტონის საფარი, 566 კვ.მ. ფილა, 398,5 გრძ.მ. ბორდიური, 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 6 ც. საპარკე სკამი, 5 ც. სანაგვე ურნა, 450 კვ.მ. მწვანე კორდი, 16 ცალი ელ. განათების ბოძები სანათებით, 12 კვ.მ. რ/ბ ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 384 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადე უჯრედით, 2 ცალი შესასვლელი კარები, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 352,1 კვ.მ. ბეტონის მჭიმე გლინულა ბადით და 306,8 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი.

ქ. ბათუმში სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა და შესაბამისი ინვენტარის განთავსება - განთავსდა 10 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული სკამი, 20 ცალი ბაზალტის ქვის გრანულეებისგან ჩამოსხმული ზურგიანი სკამი, 6 ცალი წითელი ქვის გრანულეებისგან ჩამოსხმული ზურგიანი სკამი, 5 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული პუფი, 2 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული ზურგიანი სკამი, 4 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული ველოსადგომი, 4 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული ოვალური საყვავილე, 50 ცალი ზურგიანი სკამი „სმარტ“, 60 ცალი ზურგიანი სკამი „სპრინგ“, 4 ცალი შავი ქვისგან ჩამოსხმული საპიკნიკე მაგიდა, 1 ცალი შავი ქვისგან ჩამოსხმული ქანდაკება, 30 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული ურნა, 50 ცალი ხის ურნა, 10 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული სკამი, 1 ცალი შავი ქვისგან ჩამოსხმული ქანდაკება „ბიჭი წიგნით“, 2 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული პინგ პონგის მაგიდა, 20 ცალი ბეჭი ქვისგან ჩამოსხმული უზურგო სკამი, 20 ცალი რკინისგან დამზადებული სკამი, 32 ცალი ქვის სკამი ბეჭი ფერის (ტრავენტინის ეფექტით ხის ფაქტურებიანი WPC ძელაკებით).

გონიოს დასახლებაში, აფსაროსის მე-3 შესახვევის მიმდებარედ რეკრეაციული სივრცის მოწყობა: მოეწყო 1 618,7 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1 159,6 კვ.მ. ფილა, 1 490,6 გრძ.მ. ბორდიური, 12 ც. საპარკე სკამი, 7 ც. სანაგვე ურნა, 736,8 კვ.მ. მწვანე კორდი და 13 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით.

ზ. გორგილაძის ქ. N8-ში, მდებარე სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შადრევნის (2 ცალი) რეაბილიტაცია - შადრევანი N1: დამონტაჟდა 5 კომპლექტი შადრევნის ტუმბოს სამონტაჟო კვანძი და ტუმბო; მოეწყო 500 კვ.მ. ფილა, 250 კვ.მ. ფსკერი მეტლახით და 500 კვ.მ. კორდი. შადრევანი N2: დამონტაჟდა 4 კომპლექტი შადრევნის ტუმბოს სამონტაჟო კვანძი და ტუმბო; მოეწყო 500 კვ.მ. ფილა, 250 კვ.მ. ფსკერი მეტლახით და 500 კვ.მ. კორდი.

ქ. ბათუმში ღვთისშობლის ეკლესიის მიმდებარედ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შადრევნის რეაბილიტაცია - დამონტაჟდა 4 კომპლექტი შადრევნის ტუმბოს სამონტაჟო კვანძი და ტუმბო; მოეწყო 500 კვ.მ. ფილა, 11 ცალი სანათი და 500 კვ.მ. კორდი.

გონიო-კვარიათში ზღვისპირა ბილიკის (პრომინადის) მონაკვეთის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა - მოეწყო 30 კვ.მ. ბეჭდური ბეტონის არმირებული საფარი, 180 კვ.მ. ველობილიკის გზა ც/ბეტონის საფარით, 64 კვ.მ. პანდუსების და კიბეების მისასვლელი რკ/ბეტონის ფილა, 90 ცალი საპარკე სკამი, 45 ცალი სანაგვე ურნა.



ქ. ბათუმში ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობა - მოეწყო 74 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით, 1110 გრძ.მ. ელ. სადენი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

**ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,044.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,857.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები მწვანე საფარის გაცელება, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელება, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მოწყობა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეძენა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით; სასათბურე მეურნეობის აღდგენა-რეაბილიტაცია.

წარმატებები:

- 8 051 896 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა;
- დაირგო 2635 ახლი ხე-მცენარე;
- განხორციელდა 6800 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 148 ძირი ხე-მცენარის გადაბელება, 132 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა,
- ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს;
- 23 798 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა;
- შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ მიწა;
- განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით;
- ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 5025 გრძ.მ.
- 649 499 ერთწლოვანი ყვავილის ჩითილის დარგვა."

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

**ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

➤ დაზუსტებული გეგმა - 2,599.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,519.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის, ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის, ლანდშაფტური განაშენიანებისა და მეყვავილეობის დეპარტამენტების მცენარეთა კოლექციის შენარჩუნება-გაზრდის, მოვლა-პატრონობის მიმდინარე სამუშაოები. ასევე, დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. განხორციელდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ღონისძიებათა პროგრამა. ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო საგანმანათლებლო და ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები ვერ განხორციელდა.

დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური, ზამთრის შედეგად დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. გაწმენდილი, მოწესრიგებული, მოვლილი და დასუფთავებულია სანიაღვრე არხები, პანორამები, სკვერები და ბილიკები. ყოველდღიურად სუფთავდებოდა ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობები, მოწესრიგებულია ბაღში არსებული საპირფარეშოები, უზრუნველყოფილია ყველა მნიშვნელოვანი პუნქტისა და უბნის უწყვეტი წყალმომარაგება და ელექტრომომარაგება. ასევე, თხევადი აირითა და სათბობით უზრუნველყოფილია ბაღის შენობა-ნაგებობები. გამართულად მუშაობდა საკომუნიკაციო, სერვერული და კომპიუტერული სისტემები. ბაღი უზრუნველყოფილია ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებებით, ყველა სატრანსპორტო საშუალებას ჩაუტარდა დროული სარემონტო სამუშაოები, მოხდა საწვავის სწორი და ეფექტური ხარჯვა, უზრუნველყოფილი იყო ელექტრომობილებით ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული მომსახურება.

ბაღში გრძელდება მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაციის მონიტორინგის საველე სამუშაოები, შეივსო დაკვირვების ჟურნალები და შეგროვდა მცენარეთა თესლები. სეზონების შესაბამისად მიმდინარეობდა დაკვირვება მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. აღირიცხა კოლექციებში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტები. განხორციელდა თესლთა მიღება, გარჩევა, გამოშრობა და სათავსოში განთავსება. გამოსაცემად მომზადებულია #47 თესლების სია. ყოველდღიურად მიმდინარეობდა ფიტო და გეომონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში მცენარეთა სახეობებზე მონაცემთა განახლება. აქტიურად მიმდინარეობდა ჰერბარიუმის ფონდის განახლების სამუშაოები. ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდა კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგეებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. სანერგე და საკოლექციო მეურნეობის სათბურებში დაითესა ველური ფლორის სახეობების თესლები, განხორციელდა მცენარეთა ეტიკეტირება, შეგროვდა ადგილობრივი ფლორის სხვადასხვა სახეობის თესლები.





აღწერილი იქნა მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და დასენიანებული მცენარეები, რისთვისაც მიმდინარეობდა აგროქიმიკატებით მცენარეთა დაცვის შესაბამისი პროცედურები. კვალსათბურები გაიწმინდა, გადაიბარა, გაფხვიერდა და შეტანილი იქნა მინერალური სასუქი, დაიწყო თესვები, ჩატარდა ნიადაგდაცვითი სამუშაოები. ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არსებული მანიშნებლების, საინფორმაციო დაფებისა და ბილბორდების მდგომარეობის მონიტორინგი. კოლექციის პოპულარიზაციის და ბაღის ცნობადობის გაზრდის მიზნით ბაღის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში. მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო გიდების მომსახურება. კორონავირუსის პანდემიის გამო ვერ განხორციელდა მთელი რიგი ეკო საგანმანათლებლო პროექტები.

მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილი იყო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით; საკანცელარიო, სანტექნიკური, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონლით. ბაღის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდება საინფორმაციო და სარეკლამო სახის ბეჭდვითი მომსახურებები. ზოოლოგიურ განყოფილებაში არსებული ცხოველები უზრუნველყოფილი არიან საკვებითა და სამედიცინო მედიკამენტებით. აქტიურად მიმდინარეობდა გოდერძის ალპური ბაღის მოვლა-პატრონობის სამუშაოებიც. დასრულდა გადასახედზე არსებული მოაჯირების და პირსის ტერიტორიაზე სამღებრო სამუშაოები. დასრულდა ლაბორატორიულ კორპუსში გამოთავისუფლებული ფართების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი განხორციელებისათვის შეძენილია სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მატერიალური ბაზის განახლების ფარგლებში შეძენილია სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები.

**➤ მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

**პრიორიტეტი: განათლება**

**სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

**ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 14 555,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 14 175,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,4%.

**➤ პროგრამის აღწერა:**



მართვა-ადმინისტრირება - 2021 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება 8095 ალსაზრდელზე, პერიოდულად კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის გამო, საბავშვო ბაღებში შეფერხებით მიმდინარეობდა პროცესი და დაგეგმილი ღონისძიება 4500 ალსაზრდელზე განხორციელდა. III კვარტალის სექტემბრის თვე ბათუმის საბავშვო ბაღებში კვლავინდებურად გაიცა სასურსათე კალათები. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ბათუმის ბაღების გაერთიანებამ 2020 წლიდან მიღებული პრაქტიკის მიხედვით უზრუნველყო ონლაინ მეთოდოლოგიის პლატფორმა, რომელიც გულისხმობს ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით გათვალისწინებული მასალის დისტანციურად მიწოდებას ალსაზრდელებისათვის და მათი მშობლებისათვის. საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალმა, გაერთიანების მიერ შექმნილი კომპეტენტური ჯგუფის ხელმძღვანელობით, შექმნა ათეულობით მაღალი ხარისხის სასწავლო-სააღმზრდელო ვიდეორგოლი, რომლითაც ალსაზრდელებს მიეწოდებოდათ ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა და რომელმაც გამოყენება ჰპოვა არა მხოლოდ ჩვენ მუნიციპალიტეტში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. მესამე კვარტლიდან ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა მუშაობა და გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ალსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებისა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით მუნიციპალური საბავშვო ბაღების ალსაზრდელების ინტერესების დაცვისა და მათი სრულფასოვანი კვების მიზნით ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების მიუხედავად საბავშვო ბაღებს შეფერხების გარეშე მიეწოდებოდათ აღნიშნული მომსახურება და რაიმე სახის დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ღონისძიებაში დაგეგმილი იყო ახალი N21 საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შეძენა, რომლის მშენებლობაც უნდა დასრულებულიყო ლერმონტოვის ქუჩაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა სამუშაოების დასრულება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ღონისძიებისათვის გათვალისწინებული რესურსი ვერ იქნა ათვისებული.

**მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

**საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 058,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 497,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 24,1%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია ერთის მხრივ მომწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევით, შესაბამისად (დაერიცხა პირგასამტეხლო (ჯარიმა) და შეწყდა ხელშეკრულება), მეორეს მხრივ კი,



კომპანიებმა შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაციები ვერ წარმოადგინეს, რამაც გამოიწვია დაგეგმილი ასიგნების ათვისებლობა.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. №96-ის მიმდებარედ მდებარე საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - მოეწყო 10 ცალი განათების ბოძი სანათებით, 211 გრძ.მ. სანიაღვრე მილები, 10,2 კვ.მ. წყალმიმღები ჭები, 1 236 კვ.მ. ფილა, 362 გრძ.მ. ბორდიური, 326 კვ.მ. კორდი, 83,2 კვ.მ. საბავშვო მოედანი, ერთი ერთეული საბავშვო ატრაქციონი. შეძენილ იქნა: 2 ერთეული ფანჩატური, 5 ცალი საპარკე სკამი და 4 ცალი სანაგვე ურნა; დაირგო 16 ცალი ფოთლოვანი ხე (მუხა).

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - ბეტონის მოსამზადებელი ფენის ქვეშ შეტანილ იქნა 100 კვ.მ. ქვიშა ხრემოვანი ნარევი; საძირკვლის ქვეშ მოეწყო 94,7 კვ.მ. ბეტონის მონოლითური საფუძველი; მოეწყო 269 კვ.მ. ბეტონის ხიმიწვები, 555,5 კვ.მ. რკინა ბეტონის მონოლითური ფილა, 41,26 კვ.მ. რკინა ბეტონის სვეტები, 14 კვ.მ. რკინა ბეტონის კიბე, 126,5 კვ.მ. კედელი, 118,12 კვ.მ. ტიხარი, 177 გრძ.მ. ლითონის ღობე ჭიშკრებით და აქსესუარებით, 1088 კვ.მ. სახურავი, 104,31 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯარა, 35,07 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარი, 961,1 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 98 გრძ.მ. ელ. კაბელი, 500 გრძ.მ. წყლის მილი და 249 გრძ.მ. კანალიზაციის მილი; შეიღეს 3 124 კვ.მ. შიდა კედლები; შეიღება 892,6 კვ.მ. ფასადი; კერამიკული ფილებით მოპირკეთდა 148 კვ.მ. იატაკი და 450 კვ.მ. კედელი. სამუშაოები განხორციელდა ნაწილობრივ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N76 (NAT190005160) ხელშეკრულებისა და ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დირექტორის (N890.14213151 11/11/2021წ.) ბრძანების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყდა ხელშეკრულება.

ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. N32-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - ტენდერი ჩატარდა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. ხელშეკრულება მრავალწლიანია, სამუშაოების შრომატევადობიდან გამომდინარე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა 2021 წელს, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა ათვისებული.

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - ტენდერი ჩატარდა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. ხელშეკრულება მრავალწლიანია. სამუშაოების შრომატევადობიდან გამომდინარე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა 2021 წელს, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა ათვისებული.

ქ. ბათუმში, მეზღვაურის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა - ტენდერი ჩატარდა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. ხელშეკრულება მრავალწლიანია. სამუშაოების შრომატევადობიდან გამომდინარე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა 2021 წელს, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა ათვისებული.



საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. ვინაიდან, რამოდენიმე ობიექტზე სამუშაოები ვერ განხორციელდა ან მიმდინარეობს შეფერხებებით, გამომდინარე აქედან კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა სრულად ათვისებული.

ელექტრო ენერჯის ქსელზე მიერთება - (ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა) - განხორციელდა ობიექტების ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების სამუშაოები.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები - განხორციელდა მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება - საკონსულტაციო კომპანიამ სამუშაოები დაიწყო 2021 წლის 12 აპრილს. გამომდინარე იქედან რომ, შესრულებული სამუშაოები და საავანსო თანხების გაცემა ითვალისწინებდა როგორც დონორ ორგანიზაციასთან და პროექტის აღმასრულებელ სააგენტოსთან (ქ. ბათუმის მერია) შეთანხმებას გაჭიანურდა თანხების ანაზღაურება, რის გამოც ვერ მოხერხდა დაგეგმილი თანხის ათვისება.

**მიღწეული შედეგები:**

გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;

**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

**ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.



**➤ პროგრამის აღწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, კონკურსის პირველი ეტაპი გამოცხადდა 2020 -2021 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგებზე, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში, სულ განსახილველად შემოვიდა 174 (ასსამოცდათოთხმეტი) განაცხადი, რომელთაგან ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 162 (ასსამოცდაორი) განაცხადი. არჩეული სტუდენტებიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია უნდა გაიცეს 2020-2021 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო 50 სტუდენტზე. დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 51-მა სტუდენტმა (არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით - 32; ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის მიმართულებით - 7; მასწავლებლის განათლების მეცნიერებების მიმართულებით - 4, ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებით - 4; გარემოსმცოდნეობისა და ეკოლოგიის მიმართულებით - 3; კულტურის/ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულებით - 1). ვინაიდან აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო სტიპენდია უნდა გაიცეს მხოლოდ 50 სტუდენტზე, გამარჯვებულად გამოვლინდნენ ის სტუდენტები, რომლებსაც პრიორიტეტული მიმართულებებიდან 2020-2021 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო აკადემიური შედეგები გააჩნდათ, კერძოდ 82.80 ქულა და მეტი.

სულ დაერიცხათ 50 000 ლარი, 5 სასწავლო თვის ერთად. მეორე ეტაპზე კონკურსი გამოცხადდა 2020 -2021 სასწავლო წლის საზაფხულო სემესტრის შედეგებზე, მიმდინარე წლის 5 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის პერიოდში. კონკურსის ფარგლებში სულ შემოვიდა 81 განაცხადი. დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებით განაცხადი შემოიტანა 37-მა სტუდენტმა არქიტექტურა და მშენებლობა; ინჟინერია და საინჟინრო საქმე ხუთმა სტუდენტმა; მასწავლებლის განათლების მეცნიერების მიმართულებით ოთხმა სტუდენტმა; ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებით ორმა სტუდენტმა; კულტურის /ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულება ერთმა სტუდენტმა. რამდენადაც აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებდნენ ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს, პრიორიტეტული მიმართულებით 37 სტუდენტზე გაიცა სტიპენდია, ხოლო დარჩენილი 13 ადგილი შეივსო ყველაზე მაღალი აკადემიური მაჩვენებელი სტუდენტებით. კერძოდ 98,25 ქულა და მეტის მაჩვენებლებზე. სულ დაერიცხათ 50 000 ლარი, 5 სასწავლო თვის ერთად.

**➤ მიღწეული შედეგები:**

წახალისებულია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელი სტუდენტები.

**ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)**

**ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 04 03 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 14,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,2%. ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1. 2021 წელს კორონა ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ონლაინ ფორმატით და როგორც კი სასწავლო პროცესი განახლდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე გამარტივებული წესით ხელშეკრულება დაიდო შპს „ნიურკერ 2020“-თან (ს/კ 448410880) და ამავდროულად გამოაცხადეს ელექტრონული ტენდერი მომსახურების უწყვეტად გაგრძელების მიზნით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ნიურკერ 2020“-მა და 12.03.2021 წელს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #32 ხელშეკრულება. მიმწოდებელს დაევალა 2021 წლის 15 ივნისის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება (სულ 62 სასწავლო დღე). 2021-2022 წლის სასწავლო სემესტრში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების მიზნით ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, თუმცა, სამწუხაროდ, არცერთხელ არ შედგა. მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს გამარტივებული წესით დაიდო ხელშეკრულება შპს „Batumi car tour“ და მომწოდებელს დაევალა 59 სასწავლო დღეზე ტრანსპორტით მომსახურება. არსებული დაბრკოლებების მიუხედავად „მიმწოდებელმა“ უზრუნველყო ბათუმის მე-13 და მე-17 საჯარო სკოლების 10 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რითაც ხელშეწყობილ იქნა განათლების ხელმისაწვდომობა. მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით მომზადდა კმაყოფილების კითხვარი და მოსწავლეთა მშობლებს გადაეცათ შესავსებად. ყველა ბენეფიციარმა გამოხატა მადლიერება ღონისძიების მიმართ და მოიწონა განხორციელებული მომსახურების ხარისხი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საანგარიშო პერიოდისათვის ხელშეწყობილია ბათუმელი მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება.

**პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 228,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 183,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 80,5%;

➤ **პროგრამის აღწერა:**



ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი - აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ათ ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია რვა ბიჭებისა და ორი გოგონების ასაკობრივი გუნდი. პროექტში ჩართულია 160 მოზარდი. შექმნილია ფორმები ქვიშის ფეხბურთის სექციის ბავშვებისათვის. პროექტის აღსაზრდელებს აქტივობები უტარდებოდა სპორტული ცენტრის ქვიშის მოედანზე. ფუტსალში ჩართული ბავშვებისათვის ვარჯიშების ჩასატარებლად გაწეულია დარბაზის იჯარის ხარჯი. მესამე კვარტალში ქვეყანაში არსებული პანდემის გამო შეჩერებული იყო სექციური მუშაობა, რომელიც განახლდა 11 ოქტომბრიდან და მიმდინარეობდა წლის ბოლომდე.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია - სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია ფუნქციონირებს მესამე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში. პროგრამაში ჩართულია 15 აღსაზრდელი. მესამე კვარტალში ქვეყანაში არსებული პანდემის გამო შეჩერებული იყო სექციური მუშაობა, რომელმაც გამოიწვია ბავშვთა ჩართულობის ნაკლებობა. სექციური მუშაობა განახლდა 11 ოქტომბრიდან და მიმდინარეობდა წლის ბოლომდე. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექციისთვის შევიძინეთ სპორტული ინვენტარი. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ისევე როგორც სხვა დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე გაუქმდა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა სპორტული ფესტივალის ჩატარება.

ქუჩის კალათბურთი - ღონისძიება გაიმართა 12 ნოემბერს, რომელშიც მონაწილეობდა 40 ახალგაზრდა, გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა ფასიანი პრიზები.

მე, სპორტი და ბათუმი - ქვეყანაში შექმნილი ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე ღონისძიება არ ჩატარებულა.

სასკოლო ოლიმპიადა - ქვეყანაში შექმნილი ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე ღონისძიება არ ჩატარებულა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

**ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 35,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 34,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ღონისძიება „წლის სპორტსმენი“ ითვალისწინებს წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ; ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში. ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი



დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა განისაზღვრა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 25 ნოემბრის 14.142132910 ბრძანებით. საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 42 განაცხადი. განაცხადების განხილვა და გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით განხორციელდა კონკურსის წესით. კონკურსში გამარჯვებულთათვის თანხის გამოყოფა მოხდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 21 დეკემბრის 14.14213551 ბრძანებით. ღონისძიების ფარგლებში, 21 დეკემბერს გაიმართა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები.

**სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 688,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 609,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

**პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:**

სარაგბო კლუბი ბათუმი - 2020-2021წწ საქართველოს ჩემპიონატში უმაღლესი გუნდი გახდა ვერცხლის პრიზიორი, საჩემპიონო ჯგუფურ ეტაპზე ჩატარდა 22 თამაში, აქედან 11 გასვლითი და 11 თამაში სახლში. შედეგები: თხუთმეტი თამაში წარმატებით იასპარეზა და მოიპოვა გამარჯვება, 5 თამაშით დამარცხდა გუნდი. საჩემპიონო პლეიოფში ნახევარფინალში გუნდმა მოიპოვა გამარჯვება და ფინალში გახდა ვერცხლის პრიზიორი.

საქართველოს 2021-2022 წწ ჩემპიონატი დაიწყო სექტემბერში და 11 თამაშიდან 10 თამაშში გამარჯვებით იასპარეზა, ხუთი გასვლითი და ექვსი სახლის თამაშით; - სამმა მორაგბემ - ლაშა ხმალაძემ, ალექსანდრე თოდუამ და გიორგი თხილაიშვილმა ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს.

- ამ დროისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შვიდკაცთა რაგბში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია ერთი მორაგბე;

- 2021-2022 წწ საქართველოს ჩემპიონატში დუბლ გუნდმა ითამაშა 5 თამაში (ორი გასვლითი და სამი სახლში).

- საქართველოს ჩემპიონატი 2020-2021 წწ ჭაბუკთა „ბ“ (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 14 თამაში (7 გასვლითი და 7 სახლში) მე-5 ადგილით დაასრულა ჩემპიონატი;

- საქართველოს ჩემპიონატი 2021-2022 წწ ჭაბუკთა „ბ“ (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 10 თამაში (5 გასვლითი და 5 სახლში), 7 თამაში გამარჯვებით დასრულდა და 3 თამაში წაგებით.

- საქართველოს ჩემპიონატი 2020-2021 წწ ჭაბუკთა "ბ"(2) ლიგის გუნდმა ითამაშა 12 თამაში (6 გასვლითი და 6 სახლში) I ადგილით იასპარეზა და ვერცხლის ლიგიდან გადავიდა ოქროს ლიგაში

- საქართველოს ჩემპიონატი 2021-2022 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 8 თამაში ( 4 გასვლითი და 4 სახლში) 8 თამაში გამარჯვებით დასრულდა.





საქართველოს ჩემპიონატი 2020-2021 წწ ჭაბუკთა "ბ"(3) ლიგის გუნდმა ითამაშა 12 თამაში (6 გასვლითი და 6 სახლში) და მე- 4 ადგილით დაასრულა ჩემპიონატი.

ბავშთა გუნდის რაოდენობა შეადგენს 450 ბავშვს, ჭაბუკთა ოთხი გუნდი, საფესტივალო ასაკის გუნდი 2007 წლიდან 2015 წლამდე - ცხრა გუნდი, მწვრთნელი - 25 კაცი.

**ფრენბურთის კლუბი ბათუმი** ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები - გოგონების ჯგუფი: 1)12-18 ივლისი „შავის ზღვის ვარსკვლავები 2021" ჩემპიონატში მეორე ადგილი აიღო გუნდის მოთამაშე ანასტასია ფალავანდიშვილმა;

2) ივლისში თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში, სადაც მეორე ადგილი აიღო გოგონათა წყვილმა(დიასამიძე-თედორაძე);

3) 1-5 აგვისტო, ბათუმი - „შავი ზღვის დედოფლები", მეორე ადგილზე გავიდა ბათუმის გოგონათა გუნდი;

4) სექტემბერში თბილისში ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთში - მეორე დასკვნითი ტური, სადაც მესამე ადგილზე გავიდნენ ანა დიასამიძე და ანა თევდორაძე;

5) 2021 წლის საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ფრენბურთში - II საპრიზო ადგილი.

6) საქართველოს 2021-2022 წლების ფრენბურთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველი ტური - III საპრიზო ადგილი.

ვაჟების ჯგუფი:

1)12-18 ივლისი „შავის ზღვის ვარსკვლავები 2021" ჩემპიონატში ბათუმის წყვილმა დაიკავა მეოთხე ადგილი;

2) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში - წყვილმა აბუსერიძე-დოლიძე დაიკავა მეშვიდე ადგილი;

3) სექტემბერი - აჭარის ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში. ბათუმის გუნდი გავიდა მეოთხე ადგილზე;

4) გუნდმა მონაწილეობა მიიღო განსხვავებული ფორმატის ჩემპიონატში, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა და რომელიც ძალაიან აქტუალური და პოპულარულია ევროპაში.

5) 2021 წლის საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ფრენბურთში - II საპრიზო ადგილი.

6) საქართველოს 2021-2022 წლების ფრენბურთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველი ტური - V საპრიზო ადგილი.

**საკალათბურთო კლუბი "ბათუმი-2010"** საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით, 2021 წლის მონაცემებით, საკალათბურთო კლუბი "ბათუმი - 2010" მიერ გაიცა ადმინისტრაციისა და ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების და ძირითადი გუნდის სპორტსმენებისა და მწვრთნელების შრომის ანაზღაურება, აგრეთვე გადახდილია მოწვეული მოთამაშეების ავიაბილეთების გამგზავრების თანხა ლეგიონელისთვის და მოთამაშეების შეძენაზე აგენტის გადასახადი, შეძენილია მოთამაშეებისთვის სათამაშო ფორმები.

წლიური მონაცემებით მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატზე, ასევე ამხანაგური შეხვედრები ქონდა თბილისისა და ქუთაისის გუნდებთან. ბავშვთა ასაკობრივი გუნდი სისტემატიურად მონაწილეობდა აჭარის კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში სახელწოდებით "აჭარის ფედერაციის თასი " A.B.F.C. ისინი არიან ამ ტურნირის 2-გზის გამარჯვებულები და პირველი ადგილის



მფლობელები, ასევე გუნდი განაგრძობს მზადებას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ დაანონსებულ საქართველოს 18 წლამდელთა ჩემპიონატში მისაღებად. გუნდი ხშირად მართავს ამხანაგურ შეხვედრებს, როგორც ბათუმში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

**ხელბურთის კლუბი „ბათუმი“** საქართველოს ჩემპიონი გახდა მეოთხედ. დამაბულ და დრამატულ ფინალში ქუთაისი დაამარცხა ანგარიშით 34:33. 2021 წლის ოქტომბერში დაიწყო საქართველოს 32-ე ეროვნული ჩემპიონატი.

2021 წელს კლუბმა პირველად გამოიყვანა გუნდი ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში. გუნდი დაკომპლექტებულია აკადემიის აღზრდილი გოგონებით. გუნდი ფინალურ ოთხეულში მოხვდა. ფინალური თამაშები მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება. ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ ჰყავს 2 გოგონათა (2004-05; 2006-07წწ) და 2 ვაჟთა (2004-05; 2006-07წწ) ასაკობრივი გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს 2020-21 წლების ახალგაზრდულ ჩემპიონატებში. ეს ჩემპიონატები იყოფა ორ ზონად (დასავლეთი, აღმოსავლეთი) და ტარდება სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, წყალტუბო, სენაკი). 2021 წლის ივლისის თვეში ქალაქ ქუთაისში ჩატარდა „იმერეთის თასის გათამაშება“ 2006-07 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ხელბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კლუბის ჭაბუკებმა. 2006-07 წლებში დაბადებული ვაჟების ჩემპიონატში კლუბის სახელით მოასპარეზე ჭაბუკებმა მეორე ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში (2006-2007 წლებში დაბადებულები) გამოძახებულია კლუბის 6 მოთამაშე. 2004-2005 წელში დაბადებულმა ვაჟებმა კი მეორე ადგილი მოიპოვა, ჩემპიონატში მონაწილეობდა სულ 12 გუნდი. 2004-2005 წელში დაბადებულმა გოგონებმა ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში გათამაშება ზონის ლიდერის რანგში (V ადგილი) დაასრულა. 2 მოთამაშე გამოიძახეს საქართველოს ქალთა ნაკრებში.

2006-2007 წლებში დაბადებულმა გოგონებმა დაიკავეს 4 ადგილი. მიმდინარე ასაკობრივ ჩემპიონატებში კლუბს გამოჰყავს 4 ასაკობრივი გუნდი, ორი გოგონების (2006-2007 და 2008-2009 წლებში დაბადებულები) და ორი ვაჟების (2006-2007 და 2008-2009 წლებში დაბადებულები). ჩემპიონატები გრძელდება 2022 წლის მაისამდე, ჩვენი გუნდები იბრძვიან საპრიზო ადგილებისათვის.

**წყალბურთის კლუბის „ბათუმი“** - საანგარიშო პერიოდში - ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა:

ა) გაიცა ხელფასები: 27357 ლარი ადმინისტრაციულ პერსონალზე და 31737 ლარი ძირითადი გუნდის მწვრთნელებზე. ბ) შიგა სატურნირო მივლინებების თანხამ შეადგინა 6201 ლარი.

გ) კლუბის წევრების მოსამზადებლად საცურაო აუზის ქირამ შეადგინა 49453 ლარი. დ) სატენდერო განაცხადისთვის დაიხარჯა 25 ლარი. ე) საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 238 ლარი. კლუბის წევრები 9 თვის განმავლობაში ატარებდნენ საწვრთნელ ვარჯიშებს "მარი ჯგუფისა" და "მარდი პლაზას" საცურაო აუზზე. 2021 წლის განმავლობაში 2 ჯერ იყვნენ მივლინებული საქ. ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ქ. თბილისში. ჩატარებული 4 თამაშიდან 3 თამაში მოიგეს კლუბის წევრებმა, 1 კი წააგეს. ჩემპიონატის თამაშები გაგრძელდება 2022 წელს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება.



**ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 191,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 156,0 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 81,6%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

კლუბის წევრებმა მიიღეს პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში ყოველთვიური შრომის ანაზღაურება. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები\_მეორე კვარტალი: 15 მაისს, ბათუმის საჭადრაკო კლუბ ნონასა და უკრაინის ჩერკასკის რეგიონის საჭადრაკო ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მესამე კვარტალი: 14 ივლისს, ბათუმის საჭადრაკო კლუბ ნონასა და უკრაინის ლვოვის "საჭადრაკო კლუბ e2-e4"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დამეგობრებული ქვეყნების ფორმატში ახალი კონტაქტები დამყარდა და იგეგმება ერთობლივი საჭადრაკო აქტივობები: ლატვიასთან (დაუგავპილსი-კლუბი "დაუგავა"), მოჭადრაკეები უკვე მონაწილეობას ღებულობენ კლუბ ნონას ყოველკვირეულ შაბათის ტურნირებში, პოლონეთთან (ნისა-სტუდენტთა სპორტული კლუბი "გეკონ" და საზოგადოებრივი ცენტრი), უკრაინასთან (უმანი-კლუბი "ერუდიტ" და "სტუდენტთა ასოციაცია", ტერნოპოლი-"ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლა N1" ), სასომხეთთან (ვანაძორი-"სპეციალიზირებული საჭადრაკო სკოლა"), ესპანეთი (სან-სებასტიანი გიპუსკოას ჭადრაკის ფედერაცია), თურქეთი (კუშადაში-"რემზი ზეითინოლლუს საჭადრაკო კლუბი"), ისრაელი (ნეტანია-"ნეტანიის საჭადრაკო კლუბი") უახლოეს მომავალში ერთობლივი საჭადრაკო აქტივობების პერსპექტივით. მასტერკლასები\_ პირველი კვარტალი: 11თებერვალს კლუბის ორგანიზებით გაიმართა ღია მასტერკლასი ონლაინ თამაშის წესების შესახებ. ლექტორი უმაღლესი "ა" კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი მარიკა ჯაფარიძე; 28 და 29 მარტს თემატური მასტერკლასები ვიდეო გაკვეთილების ჩვენება საერთაშორისო დიდოსტატთან ფიდეს სენიორ ტრენერთან დავით ჯოჯუასთან ერთად. მეორე კვარტალი: კლუბის მენეჯერმა და მწვრთნელმა მარიკა ჯაფარიძემ (WFM, IA, FI) ზუმის მეშვეობით მონაწილეობა მიიღო: 1) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მწვრთნელთა სემინარში (13-14.04.2021) 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მწვრთნელთა ვებინარებში ლექტორი ალექსანდრე კოსტივი (პირველი ეტაპი- 11-25.05.2021);

ლექტორი GM ფარუხ ამონატოვი (31.05.2021) 3) ფიდეს (FIDE) მიერ ორგანიზებული ლექცია-სემინარები საერთაშორისო არბიტრებისთვის ონლაინ და ჰიბრიდული ჭადრაკის სატურნირო სტანდარტებთან, წესებთან და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით: პირველი (საბაზო) ეტაპი (26-29.04.2021) მეორე ეტაპი მთავარი მსაჯის ფუნქცია-მოვალეობები (14-17.06.2021) მარიკა ჯაფარიძეს გადაეცა კურსის წარმატებით გავლის სერთიფიკატი. მესამე კვარტალი: კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, აგრეთვე ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში, გაიმართა თემატური, ონლაინ მასტერ კლასი ვიდეო გაკვეთილის ჩვენება, "ფიდეს სენიორ ტრენერთან" (FST), საერთაშორისო დიდოსტატთან GM დავით ჯოჯუასთან ერთად (29.09.2021, Zoom) დაესწრნენ კლუბის წარმატებული და პერსპექტიული ბავშვები. მეოთხე კვარტალი: ბავშვების თბილისში ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად



მივლინების პერიოდში გაიმართა ორი ვრცელი თემატური მასტერკლასი "ფიდეს სენიორ ტრენერთან" (FST), საერთაშორისო დიდოსტატთან GM დავით ჯოჯუასთან ერთად (01-10.11.2021 და 17-30.11.2021, Zoom) დაესწრნენ კლუბის წარმატებული და პერსპექტიული ბავშვები. (08-17.10.2021, Zoom) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ლიცენზირებულ მწვრთნელთა ონლაინ სემინარი. ლექტორი: ფიდეს მწვრთნელი-ალექსანდრე კოსტიევი. სემინარებს დაესწრე "B" კატეგორიის ლიცენზირებული მწვრთნელები კლუბის დირექტორი გიორგი ჭანტურია IA, IO და კლუბის მენეჯერი, მწვრთნელი მარიკა ჯაფარიძე WFM, IA, FI. კლუბის მიერ ორგანიზებული ტურნირები\_მეორე კვარტალი: წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის "გურამ ჭანტურიას თასი" სწრაფი და ელვისებური ჭადრაკის ტურნირებით გაიმართა. საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოებით, თასებით, მედლებით და დიპლომებით. მესამე კვარტალი: სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი საჭადრაკო ღონისძიებების გამართვის ფარგლებში\_მეგობრობის სახლში ღია მეგობრული ტურნირი ბავშვებისთვის, აჭარის საქართველო-რუსეთის ურთიერთკავშირის ასოციაციის ეგიდით (11.07.2021, ბათუმი);

ბათუმის მუნიციპალიტეტის დამეგობრებული ქვეყნების ფორმატში და კლუბი ნონას გაცვლითი პროგრამების, აგრეთვე გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მეგობრული მატჩები და ბლიც ტურნირი უკრაინის ქალაქ კიევის საჭადრაკო კლუბ "გამბიტ"-თან (12-15.07.2021, ბათუმი) ; მეოთხე კვარტალი: კლუბმა ნონამ ჩაატარა სასკოლო საჭადრაკო ფესტივალი დაფასთან თამაშის რეჟიმში. კლუბი ნონას ორგანიზებით (უკვე მე-7 ჯერ) გაიმართა ამჯერად საერთაშორისო საახალწლო ფესტივალი-2021, დაფასთან თამაშის ფორმატით (04-10 დეკემბერი, 2021, ბათუმი). ჯამში 4 ტურნირი ვაჟთა და ქალთა რაპიდი და ბლიცი, 8 და 10 წლამდე და 6 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, მათ შორის 3 საერთაშორისო. მონაწილეობას ღებულობდა 5 ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსია, რუსეთი, ინგლისი. ვაჟთა და ქალთა რაპიდ და ბლიც ტურნირებში დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები, აგრეთვე ყველა ტურნირის გამარჯვებულებს ვაჟებს, ქალებს, ჭაბუკებს და გოგონებს გადაეცათ თასები, საპრიზო სამეულებს მედლები და დიპლომები; ონლაინ ტურნირები\_პირველი კვარტალი: მთელი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათს კლუბი ნონა პლატფორმა Chess.com ზე ატარებს რაპიდ ტურნირებს რომლებშიც სისტემატიურად ღებულობენ მონაწილეობას კლუბის წარმატებული ნორჩი წევრები, აგრეთვე პერიოდულად აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, ბელარუსიის, ირანის, კამერუნის წარმომადგენლები. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კლუბმა ჩაატარა ონლაინ ბლიც ტურნირი მანდილოსნებისთვის. საპრიზო ადგილებზე გასული ვაჟები და გოგონები ჯილდოვდებიან ელექტრონული დიპლომებით და მედლებით. ყოველ კვირა დღეს კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ მათა ჩიბურდანიძის ონლაინ რაპიდ და ბლიც ტურნირებში. კლუბის წარმატებული ნორჩი წევრებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მეგობრულ გუნდურ ჩემპიონატში 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ასაკში დიდი სხვაობის მიუხედავად ბავშვებმა შეძლეს თავის წარმოჩენა. მეორე კვარტალი: კლუბმა სპორტის საერთაშორისო დღესთან და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩაატარა ღია ონლაინ ბლიც ტურნირები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ უცხოელი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭადრაკეები.

12 წლამდე ასაკის კლუბის წარმატებულმა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირში "International Kaspersky Chess Tournament U16" ტურნირში 51



ქვეყნის, 343 მოჭადრაკე ასპარეზობდა. მიუხედავად ასაკში დიდი სხვაობისა თავის წარმოჩენა შეძლეს. კლუბის გუნდმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მეგობრულ გუნდურ 2 ტურნირში და მეგობრულ მატჩში ალმაატის (ყაზახეთი) საერთაშორისო პროფესიონალურ საჭადრაკო სკოლასთან (30.06.2021 პლატფორმა lichess.org). მესამე კვარტალი: ყოველკვირეული ონლაინ ტურნირებიდან 3 ტურნირი საერთაშორისო იყო. კლუბმა ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღია ონლაინ ბლიც ტურნირი ჩაატარა რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ უცხოელი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭადრაკეები (20.07.2021); კლუბის ნორჩმა წარმატებულმა წევრებმა გიორგი ჭანტურიამ და თიკო ბერაიამ მონაწილეობა მიიღეს ონლაინ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში-„Rudaga-Kaissa 2021 Online” 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის (23-24.07.2021, პლატფორმა ChessCom); მეოთხე კვარტალი: ონლაინ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "Chess Yes" 8,10,12 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. მონაწილეობას ღებულობდა კლუბი ნონას 5 წევრი: გიორგი ჭანტურია, შოთა ცეცხლამე, მარიამ კალანდამე, თიკო ბერაია და ანეტა ქედელიძე. შოთას გარდა ოთხივე წევრმა მოიპოვა ფინალური საზურები. საქართველოს ჩემპიონატები\_პირველი კვარტალი: კლუბის წარმატებულმა ნორჩმა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ონლაინ სასკოლო ჩემპიონატებში 11 და 13 წლამდე გოგონებში ; მეორე კვარტალი: საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები უნდა გამართულიყო თბილისში, მაგრამ კოვიდ-19-ის შემთხვევების დაფიქსირების გამო ყველა ტურნირი გადატანილ იქნა ონლაინ სივრცეში. საგზურმოპოვებულმა კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ონლაინ ჩემპიონატებში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში. მეოთხე კვარტალი: მარიამ კალანდამემ და ანეტა ქედელიძემ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატში 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის "კახი ჩიგოგიძის თასი" (24.11-02.12.2021, თბილისი) მიწვეული არბიტრები: კლუბის მენეჯერი მარიკა ჯაფარიძე (WFM; FI; IA) მიწვეული იყო ფიდეს პირველ ონლაინ მსოფლიო კოორპორატიულ საჭადრაკო ჩემპიონატზე არბიტრად (1st FIDE Online World Corporate Chess Championship\_19-21.02.2021\_ChessCom).

კლუბის მენეჯერმა მარიკა ჯაფარიძემ (WFM; FI; IA) შშმ პირებისთვის განკუთვნილ ფიდეს პირველ ონლაინ მსოფლიო ოლიმპიადის დროს მსაჯობისას მონაწილეობა მიიღო ონლაინ ტურნირების მოთამაშის წესების (Player Manual) თარგმანში. აღნიშნული წესების სახელმძღვანელო ოფიციალურადაა განთავსებული ონლაინ სივრცეში და სხვადასხვა 11 ენას შორის არის ქართული თარგმანის ვერსიაც. მესამე კვარტალი: კლუბის მენეჯერი მარიკა ჯაფარიძე (WFM; FI; IA) მიწვეული იყო მთავარი მსაჯის მოადგილედ ონლაინ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში-„Rudaga-Kaissa 2021 Online” 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის (23-24.07.2021, პლატფორმა ChessCom); კლუბის მენეჯერი და მწვრთნელი, უმაღლესი „ა“ კატეგორიის არბიტრი მარიკა ჯაფარიძე (WFM, IA, FI) 19 აგვისტო - 15 სექტემბრის პერიოდში ფიდეს მიწვევით მსაჯობდა ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ ტურნირში ეროვნული გუნდებისთვის - ფიდეს ონლაინ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში. რომელსაც მსოფლიოს უმსხვილესი ონლაინ პლატფორმა Chess.com მასპინძლობდა. ოლიმპიადაში სხვადასხვა ქვეყნის 155 გუნდი და 1500-ზე მეტი მოჭადრაკე ღებულობდა მონაწილეობას.

**➤ მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონას" განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში;



**ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 136,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 134,5 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 98,3%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

2021 წელს გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი. მოეწყო და გაუმჯობესდა კლუბის ინფრასტრუქტურა: გაფართოვდა კლუბის ტერიტორიამდე მისასვლელი გზა, ჩატარდა სადრენაჟე სამუშაოები, შეკეთდა სავარჯიშო ღობე, ეზოში დაიგო ფილები და დაიდგა ხის კოტეჯები. კლუბის ტერიტორიაზე ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, ყველა თავლაში დაისხა ბეტონის საფარი.

კლუბმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 26 მაისს მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტში გამართულ დოღში უფროსი ასაკის ცხენებისთვის, სადაც ჩვენმა კლუბმა დაიკავა მე-3 ადგილი, ასევე 27 ივნისს აბაშის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში ხალხური ცხენოსნობის ფესტივალი, სადაც დავიკავეთ მე-2 ადგილი ახალგაზრდებს შორის. კლუბმა ივლისის თვეში აბაშის მუნიციპალიტეტში გამართულ დოღში მიიღო მონაწილეობა, სადაც დაკავებულ იქნა მესამე ადგილი. აგვისტოსა და სექტემბრის თვეში ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე რაიმე სახის ღონისძიებაში მონაწილეობა არ განხორციელებულა. წლის ბოლოს კი საქართველოს თასზე ქ. თბილისში კონკურში მიღებულ იქნა მონაწილეობა და აიღო მეექვსე ადგილი.

**მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ ტურნირებში.

**მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 768,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 629,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,1%;

**➤ პროგრამის აღწერა:**

მართვა და ადმინისტრირება - თანამშრომლებზე გაიცა ხელფასები, დაფარული კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯები, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯები, პანდემიიდან გამომდინარე ნაყიდა სადუბინფექციო საშუალებები, დაფინანსდა ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შეძენილია საკანცელარიო, სამეურნეო, სანიტარული და სამედიცინო საქონელი. შეძენილია ოფისისთვის ავეჯი (სკამები), გადახდილია საბუღალტრო პროგრამის შეძენის თანხა. ყინულის მოედნის სარემონტო სამუშაოებისათვის და ქვიშის მოედნისთვის შეძენილია ქვიშა.



კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის შეძენა - შეძენილია პერსონალური კომპიუტერი და ასლგადამღები.

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ბაზის განახლების მიზნით ცენტრის ტერიტორიაზე შეძენილია დაცვის ჯიხური, ასევე ნიჩბოსნობის ბაზაზე მოხდა გაზის დაერთება და დამონტაჟდა ვიდეო-სათვალთვალო კამერები. შეძენილია საფხვიერებელი ტრაქტორი (ქვიშის მოედნისათვის) და საპლაჟო სტადიონის მოედნისათვის კარები. შეძენილია აერპნემატიური ნაგებობის გამაგრებელი კომპრესორი და ყინულის აგრეგატისთვის საცირკულაციო ნასოსი, ასევე 3 კონდიციონერი ოფისისთვის, ყინულის დარბაზის მოსაწესრიგებლად შეძენილია მტვერსასრუტი და მაღალი წნევით რეცხვის აპარატი. მოხდა კომპიუტერების და ასლგადამღებების შეძენა.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება - 2021 წლის 15 მარტიდან სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობს ჰოკეის ჯგუფების მუშაობა, ფუნქციონირებს 2 ყინულის ჰოკეის ჯგუფი. ჯგუფებში ჩართულია 7-დან 18 წლამდე მოზარდები. მესამე კვარტალში ქვეყანაში არსებული პანდემის გამო შეჩერებული იყო სექციური მუშაობა, რაც გაგრძელდება 11 ოქტომბრიდან და მიმდინარეობდა წლის ბოლომდე, ბაზას ჰყავს ორი ჰოკეის მწვრთნელი და გაცემულია ხელფასები.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება - 2021 წლის 15 მარტიდან სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობს ფიგურული ციგურაობის ჯგუფების მუშაობა. შექმნილია 16 ჯგუფი, ფიგურული ციგურაობის ჯგუფებში ვარჯიშობს 4-დან 15 წლამდე მოზარდები, ხოლო სექციური ვარჯიშები ტარდება კვირაში 6 დღე და მასში ჩართულია 270 მოზარდი. მესამე კვარტალში ქვეყანაში არსებული პანდემის გამო შეჩერებული იყო სექციური მუშაობა, რაც გაგრძელდა 11 ოქტომბრიდან და მიმდინარეობდა წლის ბოლომდე. ფიგურული ციგურაობის ჯგუფებისთვის შეძენილია ციგურები. ტრენერებზე გაცემულია ხელფასები.

სანიჩბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა - 2021 წლის 20 თებერვლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე არსებული მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა „ნიჩბოსნობის სექციის განვითარება“. ამ ეტაპზე შექმნილია ორი ვაჟების ჯგუფი, ჩართულია 25 მოზარდი. სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირებისთვის მოხდა სპორტული ნაგებობის შეძენა (შეძენილია 6 სპორტული ნავი). 19-21 ნოემბერს ჩატარდა ბათუმის ღია ფესტივალი ნიჩბოსნობაში, მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების და სომხეთის წარმომადგენელი გუნდები. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები.

ავტოსპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა - ავტოდრომის ბაზაზე ქვეყანაში არსებული პანდემის გამო დაგეგმილი ღონისძიებები არ ჩატარებულა. გაცემულია თანამშრომლებზე ხელფასი.

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა - 2021 წლის 15 მარტიდან ეტაპობრივად მიმდინარეობდა ბათუმის სპორტული ცენტრის მასობრივი სპორტის განვითარების ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა. ამ ეტაპზე გუნდში გაწევრიანებულია 14 სპორტსმენი, რომლებიც სისტემატიურად ვარჯიშობენ კვირაში ორი დღე. ვარჯიშები მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. შეძენილია სპორტული ინვენტარი და ეკიპირება.

ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა - სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობს ქართული ჭიდაობის სექციური მუშაობა, შმეცადინეობები ტარდებოდა კვირაში 3-ჯერ, აღნიშნულ სექციაში ჩართულია 20-მდე აღსაზრდელი.



მესამე კვარტალში ქვეყანაში არსებული პანდემის გამო შეჩერებული იყო სექციური მუშაობა, რომელიც მეოთხე კვარტალში განახლდა, ტრენერებზე გაცემულია ხელფასი.

**➤ მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა,

**სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02-05 02 03)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3,426.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,867.,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,7%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

აღმაშენებლის #3-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 362,9 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 279,7 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 1 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი სანათი; შეკეთდა სტადიონის დაზიანებული ლითონკონსტრუქციები. (დასრულდა).

იოანე ლაზის 1-შესახვევი #6 არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 0,9 კვ.მ. რკ/ბეტონის სარტყელი, 2,522 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 200,2 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე, შეძენილ იქნა: 1 ცალი ფრენბურთის ბადე, 2 ცალი კალათბურთის ბადე და 2 ცალი საფეხბურთო ბადე; შეიღება 239,8 კვ.მ. სტადიონის ლითონკონსტრუქციები და ელემენტები; არსებულ დგარებზე დამონტაჟდა 4 ცალი სანათი. (დასრულდა).

მეფე მირიანის მე-3 ჩიხში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 264 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 207,6 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ბადე, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე და 4 ცალი სანათი; შეიღება 249,4 კვ.მ. სტადიონის დაზიანებული ლითონკონსტრუქციები და ელემენტები. (დასრულდა).

ნონეშვილის ქუჩა #58/60-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 264 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 206,6 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 2 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი სანათი; შეკეთდა სტადიონის დაზიანებული ლითონკონსტრუქციები. (დასრულდა).

ძმები ნობელები ქუჩა #44-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 4,31 კვ.მ. ზეძირკველზე რკ/ბეტონის სარტყელი, 454,8 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 315,6 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 1 ცალი შესასვლელი კარი და 1 ცალი სანათი; შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 2 ცალი სპორტული ინვენტარი; შეკეთდა სტადიონის დაზიანებული ლითონკონსტრუქციები. (დასრულდა).





სვიშევსკის ქუჩა #141-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 260,5 კვ.მ. ბეტონის მჭიმო, 246,3 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 81,80 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 1 ცალი შესასვლელი კარი და 1 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

ივანე მესხის #1-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 610 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადე უჯრედით. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი შესასვლელი კარი. მოეწყო 904,9 კვ.მ. ბეტონის მჭიმო, 921 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 125 გრძ.მ. ელ. სადენი და 6 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით; შეიღება 28 კვ.მ. განათების ბოძები. (დასრულდა).

ქ.ბათუმში, პარმენ რურუას ქ. N13-ში მდებარე სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება - მოეწყო 384 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე, 339,1 კვ.მ. ბეტონის მჭიმო, 339 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 148 კვ.მ. ფილა და 69 გრძ.მ. ბორდიური. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი შესასვლელი კარი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ხიხანის და ხანძთის ქუჩების მონაკვეთში სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 1,73 კვ.მ. წერტილოვანი საძირკველი, 18,6 კვ.მ. რკ/ბეტონის ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 598,82 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარი, 2 ცალი შესასვლელი კარი. დამონტაჟდა 878,5 კვ.მ. საფუძველი ბეტონის მჭიმით, 897 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი და 6 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, შარაშიძის ქუჩა #56 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 341,3 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 305,3 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 1 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით; შეკეთდა სტადიონის დაზიანებული ლითონკონსტრუქციები. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, კახაბრის #30-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 580,2 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 396,3 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 1 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, ხახული მე-2 შესახვევი #67-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 257,2 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 188,4 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი შესასვლელი კარი და 2 ცალი ელ. განათების სანათი ბოძზე. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი #2-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 867,6 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 363 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე და 6 ცალი ელ. განათების სანათი დგარზე. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, სვიმონ კანანელი #1 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - განხორციელდა მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში



შესრულებული სამუშაოების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება (პირველი ნაწილი).

ქ. ბათუმი, აფსაროსის გზატკეცილი 3-შესახვევი #4-ის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - განხორციელდა მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დროს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება (პირველი ნაწილი).

ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის #70-ის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 244,6 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 264,8 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარების ბადე, 2 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, კუშკინის ქ. #137/139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 160 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 192 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარები, 2 ცალი შესასვლელი კარი და 1 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. #55/57 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 198 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 288 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 2 ცალი საფეხბურთო კარი, 2 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, ანდრონიკაშვილი 49ა (ყოფილი შაფათავას #38) მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 472,6 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 309,5 კვ.მ. მავთულბადით სტადიონის შემოფარგვლა ლითონის დგარებზე. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 1 ცალი შესასვლელი კარი და 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით; შეკეთდა 2 ცალი საფეხბურთო კარი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, თამარ მეფის მესამე შესახვევი #2-ის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 1137 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 454,56 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარი, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 14 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით, 10 ცალი ჭა თუჯის ცხაურა ოთკუთხედი ჩარჩოთი, 126,4 გრმ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, 18,9 კბ.მ. სანიაღვრე არხი, 42 კვ.მ. სანიაღვრე არხის ლითონის ცხაურა, 77 კბ.მ. დამცავი კედელი, 77,01 კვ.მ. მოაჯირი, 36 კვ.მ. ღობე, 435,5 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 100,5 გრმ.მ. დეკორატიული სკამი, 7 ც. სანაგვე ურნა და 303 კვ.მ. კორდი. (დასრულდა).

ი. ჭავჭავაძის ქ. N78/88 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით, 416 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 403,2 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარი და 2 ცალი საკალათბურთო ფარი. (დასრულდა).

აღ. კუშკინის ქ. N35ა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 219,6 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარის ბადე, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით, 111 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 15,4 გრმ.მ. ბორდიური, 10,7 კვ.მ. კორდი. (დასრულდა).



აღ. პუშკინის ქ. N125-129-ს მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 164,2 კვ.მ. საბავშვო ატრაქციონის კაუჩუკის საფარი, 264 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 219,6 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარის ბადე, 2 ცალი საკალათბურთო ფარის რგოლი, 4 ცალი პროექტორული სანათი, 260,1 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 219,4 გრმ.მ. ბორდიური, და 77,5 კვ.მ. კორდი. (დასრულდა).

მ. ვარშანიძის ქ. N102 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 1 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 1 ცალი საპარკე სკამი, 1 ცალი სანაგვე ურნა, 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათებით, 264 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 326,4 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარი და 2 ცალი საკალათბურთო ფარი. (დასრულდა).

მ. ლერმონტოვის ქ. N125 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 4 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით, 246,6 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 277,6 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარის ბადე და 2 ცალი საკალათბურთო ფარი. (დასრულდა).

ადლიის ქ. NN99-101-103-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მოეწყო 2 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 4 ცალი პროექტორული სანათი, 643,3 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 314,15 კვ.მ. მავთულბადე უჯრედით სტადიონის შემოფარგვლა. შეძენილ იქნა: 2 ცალი შესასვლელი კარი, 2 ცალი საფეხბურთო კარის ბადე, 2 ცალი საკალათბურთო ფარის რგოლი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, სპორტული ტრენაჟორების შეძენა (დემონტაჟი-მონტაჟი) (ლერმონტოვის ქ. N107 მიმდებარედ; ჯავახიშვილის ქ. N73 მიმდებარედ; ჯავახიშვილის ქ. N70-ის მიმდებარედ; ს. ხიმშიაშვილის ქ. N94-96 მიმდებარედ; ტაძრის ქ. N3; შ. ინასარიძის ქ. N21 მიმდებარედ; შ. ხიმშიაშვილის ქ. N13; დიდაჭარის ქ. N39; ფ.ხალვაში ქ. N15; ფ.ხალვაშის ქ. N328; ფ.ხალვაშის ქ. N322; გორგილაძის ქ. N54/64; თ. მეფის გამზირი N7; თოდოგაურის დასახლება N24; კახაბრის ქ. N32; მ.ვარშანიძის ქ. N189; მუსხელიშვილის ქ. N64; შარაშიძის ქ. N56; აფხაზეთის ქ. N10; ო. დიმიტრიადის ქ. N8 მიმდებარედ; თამარის დასახლება სახლი N1; თამარის დასახლება სახლი N13; თამარის დასახლება სახლი N24; თამარის დასახლება სახლი N28; ნონეშვილის ქ. N58/60; ძმ. ნობელეების ქ. N44; მაიაკოვსკის ქ. N3; მაიაკოვსკის ქ. N55/22; მესხის ქ. N40-44; სვიშევსკის ქ. N224; ბაგრატიონის ქ. N196; გუდიაშვილის ქ. N18-20 მიმდებარედ; პუშკინის ქ. N174 მიმდებარედ; ანდრონიკაშვილის ქ. N36-38; აღმაშენებლის ქ. N3; აღმაშენებლის ქ. N15; გენ. ა.აბაშიძის ქ. N22; აღმაშენებლის ქ. N 56; ტაბიძის ქ. N29; ტაბიძის ქ. N1; შ. ხიმშიაშვილის ქ. N88; მ. მაჭავარიანის ქ. N80; ლორთქიფანიძის ქ. N8; რურუას ქ. N8, პ. მელიქიშვილის ქ. N125) - დამონტაჟდა 45 ცალი ტრენაჟორი „ნიჩბოსანი“, 45 ცალი ტრენაჟორი „სხეულის ამზიდი“, 45 ცალი ტრენაჟორი „აზიდვა მკერდიდან“, 42 ცალი ტრენაჟორი „მიზიდვა მკერდისაკენ“, 45 ცალი ტრენაჟორი „აზიდვა ფეხებით“, 42 ცალი ტრენაჟორი „წელის კორექციისთვის“, 42 ცალი ტრენაჟორი „ელიფტური“, 45 ცალი ტრენაჟორი „ორმხრივი ძელი, 45 ცალი ტრენაჟორი „ტვისტერი“, 42 ცალი ტრენაჟორი „მუცლისა და ზურგის კუნთებისათვის“, 38 ცალი საჩრდილობელი ფანჯატური ტრენაჟორებისთვის; დემონტაჟი ჩაუტარდა 331 ცალ არსებულ ტრენაჟორს.

ელექტრო ენერჯის ქსელზე მიერთება - ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში გათვალისწინებული იყო ობიექტების ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების ხარჯები, შესაბამისად, დამატებით აღარ გაიხარჯა ამ ღონისძიების გეგმით გათვალისწინებული თანხები.



ქუჩის კალათბურთის მოედნის მოწყობა (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - იდეა ბათუმი) - ქ. ბათუმში კოტე აფხაზის ქ. N4ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთიზე ქუჩის კალათბურთის მოედნის მოწყობა. მოეწყო: 405,1 კვ.მ. კაუჩუკის მონოლითური საფარი. შეძენილ იქნა: 2 ცალი საკალათბურთო ფარი და 2 ცალი ელ. განათების ბოძი სანათით. (დასრულდა).

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) - დაფინანსება არ განხორციელებულა.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. #74-ის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განახლდა ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა

**კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)**

**კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 1 937,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 812,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,5%.

**პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა საზაფხულო თეატრის შენობას; შეძენილი იქნა განათებისა და გახმავანების აპარატურა; საზაფხულო თეატრის დარბაზისთვის შესყიდული იქნა ხალიჩები; შესყიდული იქნა საზაფხულო თეატრის სასცენო ფარდები; სარემონტო სამუშაოები ჩატარდა და გაიმართა საზაფხულო თეატრის სცენის სოფიტები; შეძენილი იქნა დიდი სცენის სახურავის ტენტი; საზაფხულო თეატრი აღჭურვილი იქნა ვიდეოსათვალთვალ სისტემით, ასევე მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა; უზრუნველყოფილი იქნა საკონცერტო სცენის ამწე ძრავების შესყიდვა; ოფისისთვის შეძენილი იქნა 2 ერთეული ლეპტოპი; უზრუნველყოფილი იქნა საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამა „ერთიგონი“-ს შესყიდვა.

საზაფხულო თეატრის დარბაზში შედგა შემოქმედებითი კოლექტივების პროგრამის პრეზენტაცია. აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, პროფესორ თემურ შალვაშვილის დაჯილდოვება მადლიერების სიგელით. მადლიერების სიგელის საზეიმოდ გადაცემა აჭარის დამსახურებულ არტისტზე გაიოზ სარჯველაძესა და დამოცეკვავე მსახიობ პაატა კომახიძეს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ საკონცერტო სცენაზე მოეწყო ზაფხულის კონცერტების სერია, რომელშიც ცენტრის ყველა შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობდა. ყოველდღიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა ჟანრის კონცერტები, კერძოდ: ქალაქური სიმღერისა და ფოლკლორის საღამო, კლასიკური და საგუნდო მუსიკის საღამო, ჯაზის საღამო, როკის საღამო.

➤ **მიღწეული შედეგები:**



უზრუნველყოფილია კულტურული ღონისძიებების ეფექტური მართვა.

**ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები  
(პროგრამული კოდი 05 03 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 187,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 179,2 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 95,6%.

**პროგრამის აღწერა:**

9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე - ცერემონიალი გაიმართა გმირთა ხეივანში, მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამკეს ყვავილებით.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბულვარში, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ სცენაზე ბავშვებისთვის მოეწყო გასართობი შოუ პროგრამა და კონცერტი ბათუმში მოქმედი საბავშვო სტუდიების მონაწილეობით.

15 ივნისს ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ბულვარში, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ მოეწყო კონცერტი და სხვადასხვა გასართობი პროგრამა.

23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე - ცერემონიალი გაიმართა გმირთა ხეივანში, მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამკეს ყვავილებით.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბულვარში, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ სცენაზე ბავშვებისთვის მოეწყო გასართობი შოუ პროგრამა და კონცერტი ბათუმში მოქმედი საბავშვო სტუდიების მონაწილეობით.

ტრადიციულად სახალხო დღესასწაულის - „ბათუმობის“ ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი თუ საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენლებმა. პანდემიიდან გამომდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ბათუმი –



წარსული და თანამედროვეობა“ – XI მოწვევა ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. კონფერენციის მასალები გამოიცა კრებულის სახით;

პანდემიიდან გამომდინარე ონლაინ რეჟიმში ჩატარდა წილხვდომილების დღესასწაულთან დაკავშირებული კონფერენციაც. კონფერენციის მასალების ბეჭდური სახით გამოსაცემად დაიბეჭდა 50 ცალი ბროშურა;

საახალწლო ღონისძიებები „ევროპის“ მოედანზე გაიმართა, რომელიც 2021 წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო და 18 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში, ღონისძიებები ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე იყო გათვლილი. წარმოდგენილი იყო საბავშვო კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ზღაპრის გმირები, სხვადასხვა გასართობი, კულტურული აქტივობები. ჩატარდა ანსამბლების, ბენდების და ესტრადის მომღერლების კონცერტები.

ლოკაციებზე განთავსდა მრავალფეროვანი საახალწლო დეკორაციები და ინსტალაციები: ნაძვის ხე, შემოსასვლელი თალით და სხვა.

დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა გამოფენა-გაყიდვა.

საახალწლო ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ასევე პროექტი „ახალი წელი შენს ეზოში“. სპეციალურად მოწყობილი საახალწლო მანქანა ქალაქის 21 უბანში შვიდა, პატარებისთვის მოეწყო სპეციალური გასართობი პროგრამა სხვადასხვა ზღაპრის გმირების მონაწიელობით, ბაშვებს დაურიგდათ საჩუქრები.

**➤ მიღწეული შედეგები:**

განმტკიცდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი პატივისცემის და უკვდავყოფის გრძნობა. აღნიშნული ტრადიციული ღონისძიებები საინტერესო იყო მოსახლეობისათვის.

**კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 27,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 15,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 20,1%., ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი - ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პრევენციის მიზნით შეზღუდვების გამო ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული სხვა პროექტები ვერ განხორციელდა.

**პროგრამის აღწერა:**

**I კვარტალი**

უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

- აღინიშნა ლესია უკრაინკის დაბადებიდან 150 წლისთავი;
- მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

- სურბ სარქისის დღესასწაული;
- ქადის ფესტივალი.

ბერძნული ეთნიკური ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოეწყო შემდეგი ღონისძიება:

- აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე.



აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აღინიშნა შემდეგი ღონისძიება:

ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული

აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფი აღჭურვილი იქნა ნაციონალური სასცენო კოსტიუმით, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა ღონისძიებების დროს;

სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ ქართული ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით განხორციელდა საექსკურსიო ტური თბილისსა და იმერეთში;

### **II კვარტალი**

სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო სამაგიდო სპორტული თამაშების ტურნირი

ბერძნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები გაეცნო სათაფლიის, წყალტუბოს და ჯიხეთის მონასტერის ისტორიულ ძეგლებს.

15 აპრილს მეგობრობის სახლში სტუმრად იმყოფებოდა ევროსაბჭოს ელჩი ბათუმში გიორგი ბოლქვაძე. შედგა გაცნობითი შეხვედრა და სამომავლოდ დაიგეგმა ინტეგრაციის პროცესებში ხელშეწყობის მიზნით ეთნიკური და რელიგიური ღირებულებების გარკვევა და კულტურათა შორის დიალოგის ხელშეწყობა.

15 მაისიდან 21 მაისის ჩათვლით ევრო საბჭოს ეგიდით ჩატარდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მრავალფეროვნების კვირეული, რომელშიც ჩართული იყო ყველა ეთნიკური ჯგუფი;

რუსული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო სპორტული ღონისძიება -სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი (ჭადრაკი, შაში, ნარდი). ტურნირში მონაწილეობა მიიღო 50 - მდე მონაწილემ, გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები;

ლესია უკრაინკას დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო საბავშვო ნახატების გამოფენა;

### **III კვარტალი**

რუსული ეთნიკური ჯგუფის მიერ საქართველოს ისტორიული კუთხეების და ღირსშესანიშნაობების მონახულების მიზნით ჯგუფის წევრებისთვის მოეწყო საექსკურსიო ტური (დენდროლოგიური პარკი, საქართველოს მინიატურული პარკი);

24 აგვისტოს უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. ღონისძიება ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ბათუმის ბულვარში მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში ყვავილებით შეამკეს ლ. უკრაინკას და ტ. შევშენკოს ძეგლები.

### **IV კვარტალი**

აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფი:

ქართული ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით განხორციელდა საექსკურსიო ტური აჭარის მასშტაბით;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

თურქული ეთნიკური ჯგუფი:

ქართული ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით განხორციელდა საექსკურსიო ტური აჭარის მასშტაბით;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

რუსული ეთნიკური ჯგუფი:



ქართული ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით განხორციელდა საექსკურსიო ტური აჭარის მასშტაბით;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

გერმანული ეთნიკური ჯგუფი:

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

ბერძნული ეთნიკური ჯგუფი:

ქართული ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით განხორციელდა საექსკურსიო ტური აჭარის მასშტაბით;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

იეზიდური ეთნიკური ჯგუფი:

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

უკრაინული ეთნიკური ჯგუფი:

მეგობრობის სახლში მოეწყო საახალწლო კარნავალი ბავშვებისთვის, რომელშიც მონაწილეობდნენ დიასპორაში გაწვევრიანებული ბავშვები. ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები და ტკბილეული;

ებრაული ეთნიკური ჯგუფი:

ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საახალწლო შეხვედრა, სადაც შეაჯამეს მიმდინარე წლის საკითხები და დაიგეგმა სამომავლო ღონისძიებები;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები;

სომხური ეთნიკური ჯგუფი:

სომხური ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საახალწლო შეხვედრა, სადაც შეაჯამეს მიმდინარე წლის საკითხები და დაიგეგმა სამომავლო ღონისძიებები;

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორაში გაწვევრიანებული ოჯახების ბავშვებს გადაეცათ ტკბილეულის ნაკრები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მეგობრობის სახლის სათვისტომოების მიერ ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების მიზნით ჩატარებული სხვადასხვა სახელმწიფო, რელიგიური და სხვ. ღონისძიებების ჩატარებამ ხელი შეუწყო ინტეგრაციის ცოცხალ პროცესს. თვითმყოფადობის შენარჩუნების პარალელურად მათში ამაღლდა პატივისცემა და სიყვარული ქვეყნისადმი, რომლის მოქალაქეებიც არიან.

**საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 210,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 182,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**





1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 მარტის №გ15.152108914 განკარგულებით დამტკიცდა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულება.

2) შემოვიდა 10 განაცხადი. განაცხადების განხილვა კომისიური წესით მოხდა მესამე კვარტლის დასაწყისში. ერთერთი პროექტის ავტორმა ვერ შეძლო ხარვეზების გამოსწორება და შესაბამისად გამოეთიშა კონკურსს. საკონკურსო კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ჯამში 9 პროექტს. შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე შპს „ჰარმონიამ“ თავიდანვე განაცხადა უარი პროექტის განხორციელებაზე. კოვიდვირუსთან დაკავშირებული სიტუაციიდან გამომდინარე ვერ ჩატარდა კიდევ ერთი პროექტი - „ნანი ბრეგვამის საიუბილეო 85 წლისადმი მიძღვნილი ფესტივალი“.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სულ 7 პროექტი:**

„გია ყანჩელის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი“ - გაიმართა 9-10 აგვისტოს. 9 აგვისტოს მსენელის წინაშე წარსდგა ჯგუფი „Georgian Six“, რომლებმაც ქალაქის სტუმრებისთვის გია ყანჩელის სიცოცხლეში ია საკანდელიძესთან ერთად შექმნილი ერთ-ერთი უკანასკნელი პროექტი „გზა ისევ შორია..“ შეასრულა.

პროექტს ლეგენდარული კომპოზიტორის კინოსა და თეატრისთვის შექმნილი მუსიკა დაედო საფუძვლად. 10 აგვისტოს, მანესტროს დაბადების დღეს ფესტივალს ბათუმის მუსიკალურმა ცენტრმა უმასპინძლა. კონცერტზე ყველასათვის საყვარელი მელოდიები შეასრულეს ლიზა ბაგრატიონმა, ქეთევან ქართველიშვილმა, ლევან დეისამემ, ზაზა ცერცვაძემ. მანესტროს ცნობილ პიესებს პროექტიდან "წერილები მეგობრებს" მაყურებელი გიორგი ცაგარელისა და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის შესრულებით მოისმინეს. კონცერტის დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი იყო - ნიკოლოზ რაჭველი. სადამოს სპეციალური სტუმარია - ბექა გოჩიაშვილი.

„საავტორო ფილმების ბათუმის XVI საერთაშორისო ფესტივალი - BIAFF“ გაიმართა 18 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა 30 ქვეყნის 35 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, ასევე 30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები/ ვორქშოპები. ფილმები შეაფასა ხუთკაციანმა ჟიურმა. ლანა ლოლობერიძე – ჟიურის თავჯდომარე, ნინო მხეიძე, გოგი გვახარია, ქეთი მაჭავარიანი, ირინა გორდიჩუკი (უკრაინა). მხატვრული სექციის ფილმებს ასევე შეაფასა ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიური - თეო ხატიაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, დათო ტურაშვილი.

„ბათუმი-თბილისი XIII საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ - გაიმართა 26 სექტემბერს სასტუმრო „ლა მერიდიან ბათუმში“, კონცერტის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ნიკოლოზ რაჭველი. სპეციალური მოწვევით ბათუმში ჩამოვიდა მუსიკოსი მარიო სტეფანო პიეტროდარკი, რომელმაც თბილისის კვინტეტთან ერთად შეასრულა არაერთი საინტერესო მუსიკალური ნაწარმოები. ღონისძიება გაიმართა საქართველოს მთავრობის დადგენილი კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით.

„ ბათუმის მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალი“ გაიმართა - 13 სექტემბერი - 30 ოქტომბრის ჩათვლით ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ის არის ერთადერთი ფესტივალი საქართველოში, სადაც ხდება თეატრალურ-ლაბორატორიული კვლევითი პროცესების ხელშეწყობა. ფესტივალის არსებობის 7 წლის განმავლობაში დაიწერა და დაიდგა 88



პიესა, უცხო ენიდან ითარგმნა 13 პიესა, გამოიცა 2 კრებული, ფესტივალს მიემღვნა 15 გადაცემა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე „სცენა“.

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი - გაიმართა 4-6 ნოემბერს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ჯგუფებმა ლატვიიდან, ლიეტუვადან, დიდი ბრიტანეთიდან. სენაკიდან, შემოქმედიდან, ოზურგეთიდან, ქუთაისიდან. ფესტივალის ფარგლებში სამი დღის განმავლობაში ჩატარდა ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. ფესტივალის სტუმრები და მონაწილეები ქართული დოკუმენტური ფილმების საშუალებით გაეცნენ ქართულ ტრადიციულ კულტურას.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი „თოფუზი“ - ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი „თოფუზი“ გაიმართა 25-30 ოქტომბერს (ონლაინ). თავისი ფორმატით აღნიშნული ფესტივალი არის სრულიად უნიკალური ამიერკავკასიაში. იგი მოიცავს როგორც საფესტივალო, ასევე საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობებს. ფესტივალი თანაბრად აკმაყოფილებს როგორც პროფესიონალ ანიმატორებს, ასევე მოყვარულებს, მოზარდებს, ბავშვებს. ფესტივალის საინფორმაციო (არასაკონკურსო) და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება: არასაკონკურსო, საინფორმაციო და თემატური ფილმების ჩვენებები, ვორქშოპები და მასტერკლასები, ახალგაზრდა ანიმატორების პროექტების წარდგენა (პიტჩები), სპეციალური შეხვედრები, სადაც ფესტივალის ყველა დამსწრეს შეეძლო სახელოვნებო კავშირი დაემყარებინა კოლეგებთან;

„ბათუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი „LemON“ - გაიმართა 23-27 ნოემბერს. კონკურს-ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა ქართული და უცხოური კინოსკოლების სტუდენტთა მხატვრული, დოკუმენტური, ექსპერიმენტული, ანიმაციური 25 საკონკურსო ფილმი მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. მათ შორის: საფრანგეთი, მექსიკა, ირანი, რუსეთი, ბელგია, ბელარუსია, ტაჯიკეთი, ისრაელი, თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, ნიგერია, ყაზახეთი, ავსტრალია, საქართველო.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები კინო-ტელე და სამსახიობო ხელოვნების სპეციალობის სტუდენტებისათვის.

ფესტივალი ჩატარდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე. დახურვის საზეიმო ცერემონიალი შედგა ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრის დარბაზში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

**კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 87,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,2%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 15 აპრილის №15. 14.142110517 ბრძანებით დამტკიცდა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 27 მაისს გაიმართა სამუშაო ჯგუფის (კომისიის) I სხდომა. კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N1, 27.05.2021წ) გამარჯვებულად გამოვლინდა 1 პროექტი. 2021 წლის ივლისის თვეში გაიმართა სამუშაო ჯგუფის II სხდომა, სადაც დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია 13 პროექტს. სულ 2021 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში შეირჩა 14 პროექტი, აქედან ერთი პროექტი გართულებული ეპიდ სიტუაციიდან გამომდინარე ვერ ჩატარდა. კერძოდ, 2021 წელს ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში“ განხორციელდა შემდეგი პროექტები:

პროექტი - „XVI საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის კონცერტი ბათუმში. რევაზ ლალიძე -100, საიუბილეო საღამო“. XVI საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის ფარგლებში ბათუმში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლალიძის საიუბილეო საღამო, მას 100 წელი შეუსრულდებოდა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 150-მდე მუსიკოს-შემსრულებელმა. ქუთაისიდან მოწვეული იყო ქუთაისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით. ასევე, პროექტში მონაწილეობა მიიღო ბათუმის კაპელამ, ოპერის სოლისტებმა, და სხვა. პროექტის ავტორი- ა(ა)იპ არტ პლიუსი; პროექტის ბიუჯეტი - 10 000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 17 ივლისი -19 ივლისი; პროექტი-შეხვედრა საქართველოს კორიფეებთან -კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილთან და სახალხო არტისტ ლეო ანთაძესთან“. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმში გაიმართა სალონური ტიპის შეხვედრა საქართველოს კორიფეებთან -კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილთან და კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თატრის მსახიობთან, სახალხო არტისტ ლეო ანთაძესთან. პროექტის ავტორი-შპს საქართველოს ეროვნული ფილარმონია; პროექტის ბიუჯეტი - 10 000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 24 ივლისი;

პროექტი - „დავით ალადაშვილი& ლიზი რამიშვილი“ 12 აგვისტოს ბათუმში გაიმართა პიანისტ დავით ალადაშვილის და ახალი თაობის გამორჩეული ჩელისტის ლიზი რამიშვილის კონცერტი. პროექტი განხორციელდა ფესტივალ “GA Goes to“ ფარგლებში. ფესტივალი აერთიანებს სხვადასხვა ჟანრის არტისტებს. პროექტის მიზანი იყო მაღალი კლასის პროფესიონალი მუსიკოსების მიერ მუსიკის აყდერება მასშტაბურ სცენაზე, ასევე ბათუმელებს და ბათუმის სტუმრებს ქონდათ შესაძლებლობა ენახათ ახალგაზრდა მუსიკოსთა კოლაბორაცია. პროექტის ავტორი -შპს „ხელოვანთა კავშირი კონცეპტ არტი“; პროექტის ბიუჯეტი - 10 000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 12 აგვისტო;

პროექტი - „მოკლემეტრაჟიანი საპილოტე საბავშვო ფილმი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მოკლემეტრაჟიანი საპილოტე საბავშვო ფილმის გადაღება. ფილმში ასახულია ბათუმისა და ბათუმელების ყოფა-ცხოვრება. ფილმში არის ერთგვარი სათავგადასავლო, შემეცნებითი, გასართობი სცენარები. მასში აისახა თანამედროვე ბავშვების მეოცნებე ხასიათი და თანამედროვე ცხოვრების რეალობები. პროექტის ავტორი - შპს „კულტურის ცენტრი ჰარმონია“; პროექტის ბიუჯეტი - 7600; პროექტის განხორციელების ვადები: 15 აგვისტო-15 სექტემბერი;



პროექტი - „კაპიტანი კოლხეთის ნაპირებიდან“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის გადაღება. ბათუმის მკვიდრის, თვალსაჩინო ქართველი ზღვაოსნის, შორეული ნაოსნობის კაპიტან დავით ჯორთმენაძის პიროვნების შესახებ.

პროექტის ავტორი - ა(ა)იპ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაცვის ცენტრი; პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 20 ივლისი-15 ოქტომბერი;

პროექტი - „კერამიკის ალქიმია“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფესტივალი მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს. ფესტივალმა შეინარჩუნა საერთაშორისო ფესტივალის სტატუსი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, ქართველი, თურქი, უკრაინელი, ლატვიელი და ამერიკელი არტისტების ნამუშევრები, ხოლო დასკვნით დღეს ამერიკის საელჩოს პარტნიორობით ფესტივალში, ზუმის პლატფორმით შემოუერთდა ამერიკელი კერამიკოსი. დაიგეგმა ერთობლივი კერამიკული პროექტების განხორციელება. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ სოციალური საწარმო ანდამატი; გაწეული ხარჯი - 1400 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 1 აგვისტო- 1 ნოემბერი;

პროექტი- „ყავის კანტანტა“. პროექტის ფარგლებში ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით შეიქმნა მუსიკალურ- დრამატული სპექტაკლი - იოჰან სებასტიან ბახის ქმნილება „ყავის კანტატა“. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ არტ -ალტერნატივა; პროექტის ბიუჯეტი - 3450 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 15 სექტემბერი - 28 ნოემბერი;

პროექტი - „საქართველო - ტრადიცია და გლობალიზაცია“; 2021 წლის 28 ნოემბერს, ქ ბათუმში, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ საკონცერტო დარბაზში ა(ა)იპ „ლომისის“ ორგანიზებით გაიმართა საგანმანათლებლო სემინარ-კონცერტი, სახელწოდებით „საქართველო - ტრადიცია და გლობალიზაცია“. პროექტის მიზანი იყო ქართული ეთნოკულტურული ტრადიციების უკეთ გაცნობა ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, ამასთან მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენა თანამედროვე გამოწვევების კრილში. პროექტის ავტორი- ა(ა)იპ ლომისი; პროექტის ბიუჯეტი - 10 000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 28 ნოემბერი;

პროექტი - „უწმინდესო დაგვაბრუნე აფხაზეთში“ - 2021 წლის 8 დეკემბერს, ელიტური სკოლა „გორდას“ სააქტო დარბაზში ჩატარდა პროექტის: „უწმინდესო, დაგვაბრუნე აფხაზეთში!!!“ დასკვნითი ღონისძიება: პენმარათონი, ნახატების გამოფენა, სპექტაკლის „ვექტორი და მოდული“-საპრემიერო ჩვენება. პროექტის ავტორი - შპს ელიტური სკოლა „გორდა“ პროექტის ბიუჯეტი -2350 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 8 დეკემბერი.

პროექტი „მამა ადამის ლიტერატურულ - მუსიკალური პერფომანსი „შემომეგებე აფხაზეთო“. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „ფესვები-XXI“. პროექტის ბიუჯეტი - 8600 ლარი;

პროექტი- „ახალგაზრდა შემოქმედთა სინთეზი“. შეიქმნა შინაარსითა და ფორმით სხვადასხვა კოლაბორაცია და ვიდეორეჟისურა, რომელიც აგებული იქნა მუსიკისა და პოეზიის სინთეზზე და მოიცავს „როკ-პოეზიის“ თანამედროვე მიმდინარეობას. როკ-პოეზიის ავტორები არიან მუსიკოსი გიორგი ფუტკარაძე და წიგნის ავტორი ნიკა ფუტკარაძე. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის კავშირი „პროგრესი“; პროექტის ბიუჯეტი - 6000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 1 აგვისტო - 6 დეკემბერი;



პროექტი - „ეს ჩემი სამშობლოა“. პროექტის მიზანია ქართველი, აფხაზი და ოსი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოება. ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ზუმის პლატფორმის გამოყენებით, სადაც გაიცვალა იდეები კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე და მათში ახალგაზრდების როლზე და ჩართულობაზე. ასევე გაიმართა საზეიმო კონცერტი, სადაც შესრულდა როგორც ქართული ასევე, აფხაზური სიმღერები. ონლაინ შეხვედრში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები საინგილოდან, ფერეიდანთან, რომელშიც არიან საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის ხელოვნების სკოლა პანსიონის მოსწავლეები და ასევე დევნილი ბავშვები. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოება ერთობა ხვალისთვის“; პროექტის ხარჯი - 3 000 ლარი; პროექტის განხორციელების ვადები: 16 ოქტომბერი- 9 დეკემბერი;

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროექტი - „ძველი ბათუმის მარკეტი“ რომელიც გულისხმობდა 2021 წლის აგვისტოს თვეში, ძველი ბათუმის ტერიტორიაზე ბენდების მონაწილეობით კონცერტების ჩატარებას, შექმნილი ეპიდ სიტუაციის გამო ვერ შესრულდა. შესაბამისად ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულება სახელშეკრულებო თანხით 10 000 ლარი შეწყდა (გაუქმდა).

➤ **მიღწეული შედეგები:**

მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიცირებული პროექტები

**04) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

**ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 836,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 931,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

**პროგრამის აღწერა:**

შედგა ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“-ს და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ერთობლივი პროექტის - ვიდო კლიპის „ქართული ხალხური ცეკვების შესრულება“ პრემიერა.

22 ივნისს, ბათუმის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის „დიდ სცენაზე“ გაიმართა საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა ხოლუაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. საღამოში სხვა კოლექტივებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბათუმი“ ცეკვა „სამაიათი“ და მაცურებელთა მოწონება დამსახურა.

2021 წლის 26 ივნისს, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში წყალქვეშა არქეოლოგიის მცირე დარბაზი გაიხსნა. გახსნის ცერემონიაზე რამდენიმე სიმღერით, წარსდგა კულტურის ცენტრის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, სადაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ საკონცერტო სცენაზე მოეწყო ზაფხულის კონცერტების სერია, სადაც მოეწყო ფოლკლორის საღამოები



საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ქორეოგრაფიული ანსამბლის, ვოკალური ანსამბლის და ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლების კონცერტი ღია ცის ქვეშ, ევროპის მოედანზე გამართულ სპეციალურ სცენაზე.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის ქართული საცეკვაო მეტრის ენვერ ხაბადის ხსოვნისადმი მიძღვნილი „ვიდეო კლიპის პრემიერა“. კლიპში მონაწილეობენ აჭარაში მოქმედი პროფესიონალი მოცეკვავეები და მათ შორის ენვერ ხაბადის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბათუმის“ ვეტერანი მოცეკვავეები.

2021 წლის წარმატებულ ხელოვანთა დაჯილდოებაზე ენვერ ხაბადის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმს“ საპატიო სიგელი გადაეცა როგორც „წარმატებულ კოლექტივს“, ხოლო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი შალვა გოგუაძე წლის „რჩეული ხელოვანი“ გახდა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

**თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 316,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 275,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,1%.

**პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: 2021 წლის წარმატებულ ხელოვანთა დაჯილდოებაზე შედგა ჯაზ-ბიგ ბენდის კონცერტი.

ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ საკონცერტო სცენაზე მოეწყო ზაფხულის კონცერტების სერია, სადაც მოეწყო ჯაზის სადამოები, მონაწილეობდა ჯაზ-ბიგ ბენდი და ჯგუფი „ჯეოპლანეტი“.

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში აქტიურად იყო ჩართული ჯაზ-ბიგ ბენდი. ბენდმა კონცერტში მოწვეულ შემსრულებლებთან ერთად წარმოადგინა საკონცერტო პროგრამა ღია ცის ქვეშ, ევროპის მოედანზე გამართულ სპეციალურ სცენაზე.

**➤ მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია თანამედროვე მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლები

**კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 310,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 308,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

**პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ განთავსებულ საკონცერტო სცენაზე მოეწყო ზაფხულის კონცერტების სერია, სადაც გაიმართა კლასიკური მუსიკის სადამოები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალთა კამერულმა გუნდმა და სასულე ორკესტრმა.



აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ფოტო გამოფენა „ანბანი და ისტორია“, ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ბათუმის კულტურის ცენტრის „სიმებიანი კვარტეტის“ კონცერტი.

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ქალთა კამერული გუნდის კონცერტი ღია ცის ქვეშ, ევროპის მოედანზე გამართულ სპეციალურ სცენაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლები

**ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 20,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 19,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღონისძიებას წლის ხელოვანი, რომლის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დარგში მოღვაწე წარმატებული ხელოვანების გამოვლენა-დაჯილდოვება, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან-თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ჩატარდა კომისია, გამოვლინდა გამარჯვებულები, გაიცა ფულადი ჯილდო და სიგელები. გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პირები:

- ა) ნომინაცია „წლის ხელოვანი“ პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: მაგდანა მათითაიშვილი (ქალთა შორის); გურამ ფუტკარაძე (მამაკაცთა შორის).
- ბ) ნომინაცია „რჩეული ხელოვანი“, პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: შალვა გოგუაძე; ნატალია ორაგველიძე; ანდრო ენუქიძე
- გ) ნომინაცია „წლის დებიუტანტი“, - პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: ელენე დარჩია (ქალთა შორის); • ანრი კაკაბაძე (მამაკაცთა შორის).
- დ) ნომინაცია „დიდოსტატი“, - პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: ანზორ კუდბა; ვახტანგ ბესელია; ედუარდ გორგილაძე; სულხან ჯაიანი; მანანა ჩაუშბა.
- ე) ნომინაცია „წლის კულტურის მუშაკი“, - სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: ლიანა კასპელაშვილი; მალხაზ ფალავა; გიზო ჩიგოგიძე; თინათინ ლორთქიფანიძე; ხათუნა ჩხარტიშვილი.
- ვ) ნომინაცია „წლის კოლექტივი“, - რევაზ ლალიძის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი. გადაეცა პრიზი.

2. 2021 წლის 19 ნოემბრის №14.14213233 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ ნომინანტებთან მიმართებაში, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს დასახელებულ ნომინაციებში, მაგრამ იმსახურებენ აღიარებას - დაწესდა სპეციალური პრიზები/ტიტული/სიგელი და ფულადი ჯილდო. კერძოდ:

- „ხელოვანი ბათუმისთვის“, - სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: ლუკა ბესელია; თამთა დარჩია; გიორგი ბოლქვაძე ; ასლან დიასამიძე; დავით ბოლქვაძე; არჩილ გოგიტიძე. „ნაყოფიერი მუშაობისათვის“, - სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცათ: მამუკა მიქელაძე; ჯაბა მახარაძე; „საუკუნოვანი კოლექტივი“, - აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ “არსიანის” მომღერალთა გუნდი. გადაეცა პრიზი; „რჩეული კოლექტივი“, - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის



პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი, გადაეცა პრიზი; „წარმატებული კოლექტივი“, - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი. გადაეცა სიგელი; „წარმატებული კოლექტივი“, - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი. გადაეცა სიგელი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები

**ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 795,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 791,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-აღმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;

საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო საქმიანობას ნაწილობრივ დაბრკოლება შეუქმნა ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ. რისკების შემცირების მიზნით, გარკვეული დროის განმავლობაში ბიბლიოთეკა მუშაობდა სრულად ან/და ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში. შესაბამისად, ნაკლებია მკითხველთა მომართვიანობა, მომხმარებელი თავს არიდებს ადგილზე კომპიუტერთან საქმიანობას, რაც აისახა რაოდენობრივ მაჩვენებელთა შემცირებაში; სპეციალიზირებული სემინარები და ტრენინგები ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, კულტურული და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრები, რისკების პრევენციის მიზნით ნაწილობრივ ონლაინ რეჟიმში იმართებოდა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიუხედავად ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში საქმიანობისა, არსებითად უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის ფუნქციონირება, გეგმის შესაბამისად გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორც ონლაინ ფორმატში, ასევე ფიზიკურ სივრცეში.

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)**





**01) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1,471,3 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1,250.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,0%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N6/ბარათაშვილის ქ. N26-ში საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია - მოეწყო 370 კვ.მ. არმირებული მჭიმო, 1,352 ტნ გადახურვის ლითონის კოჭები, 5,28 კვ.მ. რ/ბეტონის გადახურვის ფილა, 588 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები ლითონის პროფილზე, 152 კვ.მ. ბათქაში, 435 კვ.მ. ლამინირებული პარკეტი, 172 კვ.მ. გრანიტის ფილები, 87,2 კვ.მ. კერამოგრანიტის ფილები, 89,75 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 205 კვ.მ. კაფელის ფილები, 55,86 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯრები, 79,57 კვ.მ. კარები, 65,52 კვ.მ. შუშბანდი შემინვა, 55,15 კვ.მ. მოაჯირი, 10 კვ.მ. ფანჯრის რაფები, 1,5 კვ.მ. კიბე, 8 კომპ. შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 44 ცალი ავტომატური ამომრთველი, 16 ცალი ჭერის სანათი, 186 ცალი როზეტი, 46 ცალი ჩამრთველი, 31 ცალი გამანაწილებელი კოლოფი, 2 460 გ/მ სადენი, 10 ც. უნიტაზი, 10 ც. ხელსაბანი, 12 ც. საშხაპე, 10 ც. ონკანი, 8 ც. ჭურჭლის სარეცხელა, 210 გ/მ. პლასტმასის წყალსადენი მილები, 210 გ/მ. პლასტმასის საკანალიზაციო მილები, 13 ცალი ტრაპი; დამუშავდა და შეიღება 2900,64 კვ.მ. კედელი და 550 კვ.მ. ჭერი.

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N19-ში საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია - მოეწყო 10 კვ.მ. კედელი, 3,1 კვ.მ. ტიხარი, 38 კვ.მ. ხის იატაკის კოჭები, 200 კვ.მ. სახურავი, 26 კვ.მ. რ/ბ ლენტური საძირკველი, 7 კვ.მ. რ/ბ სვეტები, 33,5 კვ.მ. რ/ბ ფილა; შეიღება 124 კვ.მ. ჭერი; შეიღესა 85 კვ.მ. კედელი. მომწოდებელმა კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ აწარმოა სამუშაოები, დაერიცხა პირგასამტეხლო (ჯარიმა), რის გამოც ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ. N37-ში მოსწავლეთა ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია - დამონტაჟდა 4,4 კვ.მ. ლიფტის რკ/ბეტონის საძირკველი და კონსტრუქცია, 9,9 კვ.მ. პანდუსის რკ/ბეტონის საძირკველი და კონსტრუქცია; მოეწყო 2,2 კვ.მ. კიბის უჯრედის რკ/ბეტონის საძირკველი, 6 ცალი ლითონის ჩარჩო, 7,14 კვ.მ. მონოლითური რკ/ბეტონის ფილა და კონსტრუქცია, 3,74 ტ. გადახურვის კონსტრუქცია, 1,6 კვ.მ. მანსარდის გადახურვის კონსტრუქციები, 2 ცალი ლითონის კარკასი, 113 კვ.მ. იატაკის ბეტონის მჭიმო, 60 კვ.მ. მეტლახის იატაკი, 174 კვ.მ. გიფსოკარდონი, 174 კვ.მ. ბგერაიზოლაცია, 210 კვ.მ. ლამინირებული იატაკი, 174 კვ.მ. ხის იატაკი, 676 კვ.მ. სახურავი, 200 კვ.მ. თბოიზოლაცია, 108 მ. ვერტიკალური წყალგადამყვანი მილი, 88,5 მ. ჰორიზონტალური წყალგადამყვანი მილი, 9 ც. წყალმიმღები ძაბრი, 16 ცალი კარები, 22 ცალი ფანჯარა, 30 ცალი საკეტი, 3 კომპ. შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 13 ცალი ავტომატური ამომრთველი, 8 ცალი ჭერის სანათი, 40 ცალი როზეტი, 24 ცალი ჩამრთველი, 20 ცალი გამანაწილებელი კოლოფი, 225 გ/მ სადენი, 16 ცალი კედლის სანათი; შეიღება 16,74 ტ. ლითონის კონსტრუქცია, 2 570 კვ.მ. კედელი, 833 კვ.მ. ჭერი, 8 კვ.მ. ორნამენტები, 197,4 კვ.მ. კარ-ფანჯარა და 634 ფასადი; აღდგენილ იქნა 17,7 კვ.მ. დეკორატიული კარზინები და 676 კვ.მ. მოლარტყვა.



შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა - ტექნიკური დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერტიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

**➤ მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

**ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)**

**ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 293,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 180,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 61,4%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო „ახალგაზრდული ცენტრის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართის სანიტარიულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობა; ყოველთვიურად წარმოშობილი კომუნალური ხარჯის დაფარვა; ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფა, ლიფტის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა; ელექტრომექანიკოსისა და სანტექნიკოსის მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა თანმდევი მომსახურებები. მომზადდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და შედგა ტენდერი ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, ასევე მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის თაობაზე, მომზადდა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ღონისძიების „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ დებულება, აპლიკაციისა და ფინანსური ანგარიშის ფორმა; დაიფარა საანგარიშო პერიოდში წარმოშობილი კომუნალური ხარჯი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში დამტკიცდა ღონისძიების „ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ დებულება. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 14 განაცხადი, ყველა მათგანი აკმაყოფილებდა ღონისძიების დებულებით გაწერილ მოთხოვნებს. კომისიის შედეგად შეირჩა და დაფინანსდა 10 პროექტი:

1. „ქალაქ ბათუმის საკალათბურთო ფესტივალი 2007-2009 წწ. დაბადებულთა შორის“. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ ანრი ჯაფარიძე. პროექტი ითვალისწინებდა ქ. ბათუმის საჯარო სკოლების სპორტულ ბაზებზე კალათბურთის სექციაში მომეცადინეთა შეჯიბრებას. პროექტი განხორციელდა მ.წ. 4-5 ივნისს და მასში მონაწილეობდა 80 ახალგაზრდა. საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები



დაჯილდოვდნენ შესაბამისი მედლებითა და დიპლომებით. გუნდები დაჯილდოვდნენ ქ. ბათუმის მერიის მიერ დაწესებული თასებით. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საკალათბურთო ტურნირის ჩატარებას, ქ. ბათუმში საკალათბურთო ტრადიციების შენარჩუნებას; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; შეჯიბრებითი წეს-ჩვეულებების ჩამოყალიბებას, მონაწილეთა სპორტული ნიჭსა და პოტენციალის გამოვლენას.

2. „Baii is life“ . პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ ნიკოლოზ კიკვაძე. პროექტი მიმდინარეობდა მ.წ. 2-20 ივნისის ჩათვლით პერიოდში და მასში მონაწილეობა მიიღო 150 ახალგაზრდა, პროექტის მიზანი გახლდათ ქალაქში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, სპორტული ტურიზმის განვითარება, იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც წარმოშვა წინა ჩატარებულმა მსგავსმა პროექტებმა.

3. „გააზიარე ისტორია“. პროექტის ავტორი გახლდათ ფ/პ ზურაბ ჯეგნარაძე. პროექტი მიმდინარეობდა მ.წ. 2-22 ივნისის ჩათვლით პერიოდში. მასში მონაწილეობა მიიღო 40 ახალგაზრდა. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების (სასკოლო ასაკის ბენეფიციარები) მიერ, მომზადდა საინფორმაციო ხასიათის მასალები ქ. ბათუმში არსებული იმ კულტურულ-ისტორიულ ძეგლების (ისტორიული მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობები, სკულპტურული ნაგებობები, საკულტო ნაგებობები, მუზეუმები, ციხე-სიმაგრეები და სხვ.), პარკების, სკვერების, ქ. ბათუმში მოღვაწე ისტორიული პიროვნებების შესახებ, რომლებიც ქმნიან ქალაქის ისტორიას, კულტურას, მატერიალურ და სოციალურ მემკვიდრეობას. ჯამში მომზადდა 40 ტექსტი, 40 ლოკაციის შესახებ. პროექტის ფარგლებში ტარდებოდა შეხვედრები სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ სკოლაში, საკონფერენციო დარბაზში, სადაც პროექტის მონაწილეები ეუფლებოდნენ კამერის წინ მუშაობის ტექნიკას, ქცევის მართვას, ლაივის დროს კამერასთან დგომისა და საუბრის ხელოვნებას. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ტექსტების დამუშავება, კორექტირება, საცდელი ვიდეოების ჩაწერა. საბოლოო ჯამში სამუშაო პროცესი გაგრძელდა ორი კვირის განმავლობაში: შეირჩა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე 40 ლოკაცია, შემდეგ მისამართებზე - მ. აბაშიძის გამზირი; ლუკა ასათიანის ქუჩა; აფსაროსის გზატკეცილი; თამარ მეფის გამზირი; ახალგაზრდობის ქუჩა; რუსთაველის ქუჩა; ბაქოს ქუჩა; გოგებაშვილის ქუჩა; ვაჟა-ფშაველას ქუჩა; ბათუმის ბულვარი და მისი მიმდებარე ტერიტორიები; ევროპის მოედანი; ი.ჭავჭავაძის ქუჩა; ზ.გორგილაძის ქუჩა; ბარათაშვილის ქუჩა; ვაჟა ფშაველა ქუჩა; ქუთაისის ქუჩა; კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა; ნინოშვილის ქუჩა და ჯინჭარაძის ქუჩა. ძეგლები დაიყო კატეგორიების მიხედვით (მაგ: საკულტო ნაგებობები; ისტორიული ძეგლები; მუზეუმები; ისტორიული პიროვნებები და სხვ.) და თითოეული ლოკაცია გადანაწილდა პროექტის მონაწილეებზე, ხოლო ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიდეოების ჩაწერა და სამუშაო პროცესის ლაივ რეჟიმში გაშვება. სპეციალურად პროექტისთვის შეიქმნა პროექტის სახელწოდებით „გააზიარე ისტორია“ Facebook და YouTube გვერდები, რომლებზეც გაიშვა ლაივ სტრიმები და აიტვირთა დამზადებული, დამონტაჟებული ვიდეორგოლები, ჯამში 40 ლაივ სტრიმი და 40 ვიდეორგოლი. ჩაიწერა ორი მნიშვნელოვანი ინტერვიუ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, სახლი ატლანტებითა და პლატონ გიგინეიშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. პროექტმა მოსწავლეებს შესძინა უამრავი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა (თანამშრომლობის, ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, კვლევის, ინტერვიუს, კამერასთან მუშაობის, შემოქმედებითი და სხვა), რომელიც გამოადგებათ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე:



პროექტის მონაწილეებმა ძალიან დიდი შრომა გასწიეს, გამოიჩინეს უდიდესი პასუხისმგებლობა და სიყვარული თავიანთი ქალაქის მიმართ; აღმოაჩინეს ახალი შესაძლებლობები საკუთარ თავში და აუმაღლდათ თვითშეფასება, ხოლო გაშვებულმა ლაივ სტრიმებმა და დამზადებულმა ვიდეორგოლებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა ცნობადობის გაზარდას და პოპულარიზაციას.

4. „ჩოგბურთი 2021“. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ არჩილ გვიანიძე. პროექტი: მიმდინარეობდა 1 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩოგბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. საჩოგბურთო ჩემპიონატში მონაწილეობდა 40 ახალგაზრდა, რომლებმაც გამოიჩინეს ძალიან დიდი ინტერესი სპორტის აღნიშნული სახეობის მიმართ. პროექტის მონაწილეებს გადაეცათ წამახალისებელი პრიზები.

5. პროექტი: „ბექა არმენაძის ხსოვნის ტურნირი“, რომელიც მიმდინარეობდა 28 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობდა 10 გუნდი, ტურნირის ჩატარებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. განხორციელდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა, გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა თაობის სპორტსმენებს შორის და „გულშემმატკივრობის კულტურის“ გაძლიერება. პირველი, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებითა და სიგელებით. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ ბექა ცინცაძე.

6. პროექტი: „პატარა ფუტსალი“, მიმდინარეობდა 1-8 აგვისტოს ჩათვლით, ქ. ბათუმის ბულვარში არსებულ საფეხბურთო სტადიონზე. თითოეულ თამაშს ესწრებოდა მუდმივად 50-100 ადამიანი, კერძოდ მონაწილე გუნდების უშუალო მხარდამჭერები და ტურისტები. პროექტში მონაწილეობა მიიღო 45 ახალგაზრდამ, ასევე შშმ პირთა ფუტსალის გუნდმა, პროექტში ჩართული იყო 5 მოხალისე. მონაწილეებმა მიიღეს სპორტული გამოცდილება, გაიმართა მრავალი სანახაობრივი და დამაბული მატჩი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის პოპულარიზაცია. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ ირაკლი აბაშიძე.

7. პროექტი: „ქიმიის ჩვენს ცხოვრებაში“ მიმდინარეობდა 30 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. პროექტი ითვალისწინებდა შემეცნებით ღონისძიებას დახურულ სივრცეში, რომელსაც, ქვეყანაში არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, ფიზიკურად ესწრებოდა 20 ახალგაზრდა. თუმცა გათვალისწინებული იყო ლაივ ჩართვებიც, რომელსაც მეტი ადამიანი შემოუერთდა და მათთან ინტერაქტიულ რეჟიმში ხდებოდა მათ კითხვებზე პასუხის გაცემა. პროექტში ჩართული იყო ასევე 5 მოხალისე ახალგაზრდა. პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა ბევრი ახალგაზრდის ცნობიერების ამაღლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში. მარტივი და სახალისო გზით მათი ცოდნის გაღრმავება. ყოველდღიური ცხოვრებისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირის ჩვენება საკმაოდ მარტივი დემონსტრაციული ექსპერიმენტების მაგალითზე, რომელთაც, ერთი შეხედვით, რთული ქიმიური პროცესები უდევს საფუძვლად. ამის შედეგად მათი დაინტერესება, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, გათვინობიერება ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესებში და მიღებული ცოდნის სულ უფრო მეტი ახალგაზრდისთვის გადაცემა. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ მარიამ ბეჟანიძე.

8. პროექტი: „ახალგაზრდა ხელოვანები მუზეუმის ქალაქში“. მიმდინარეობდა 25-30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. პროექტი ითვალისწინებდა ონლაინ საკომუნიკაციო სივრცის შექმნას დამწყები ხელოვანებისთვის და მათი ნამუშევრების გაცნობას



საზოგადოებისთვის. რაც წარმატებით განხორციელდა. ყველა აქტივობა განხორციელდა ონლაინ (ზუმი, ფეისბუქი) და განხორციელდა ლაივების ჩაწერა. ზუმი შეხვედრას ესწრებოდა პროექტის ფარგლებში შერჩეული ოცი მონაწილე, ხოლო ფეისბუქ ლაივით თვალყურს ადევნებდა დაახლოებით თითოეულ შეხვედრას სამასამდე ადამიანი ადევნებდა თვალს. მათ შორის მონაწილეთა ოჯახის წევრები და სხვა. პროექტში ჩართული იყო 5 მოხალისე. პროექტის განხორციელების შედეგად საზოგადოებამ გაიცნო ქ. ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდა უცნობი პოეტები, მწერლები, მხატვრები და ფოტომოყვარულები. შეიქმნა სპეციალურად პროექტის ფეისბუქ და იუთუბ გვერდები, სადაც განთავსდა ლაივ სთრიმები და ვიდეო-რგოლი; პროექტში მონაწილე ახალგაზრდები გაეცნენ ბათუმში მცხოვრებ ახალგაზრდა მხატვარსა და პოეტს, რომლებმაც ჩაატარეს საინტერესო მასტერკლასები და გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებები. პროექტის მონაწილე ახალგაზრდების თავად იყვნენ ჩართული ვიდეო-რგოლების დამზადებაში. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა არაფორმალური ონლაინ შეხვედრა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ხელოვნებით. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ საბა ოკუჯავა.

9. პროექტი: „ახალგაზრდა ლიდერთა ბიზნეს სკოლა“ მიმდინარეობდა 1 აგვისტოდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. პროექტი ითვალისწინებდა ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების ასამაღლებელ ტრენინგების კურსს, რომელსაც ესწრებოდა 12 ახალგაზრდა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდა ლიდერთა ბიზნეს სკოლა და გადამზადდა 12 ახალგაზრდა ბიზნეს განათლების კუთხით; ამაღლდა 12 ახალგაზრდის ცოდნა მეწარმეობასთან დაკავშირებით; ამაღლდა 12 ახალგაზრდის ცოდნა სოციალური მედია მარკეტინგზე და მის მნიშვნელობაზე თანამედროვე ბიზნესში; ამაღლდა 12 ახალგაზრდის ცოდნა ბიზნესის ფინანსურ საკითხებზე; ქ.ბათუმში შეიქმნა კიდევ ერთი თანამედროვე სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო კურსი; ადგილობრივ ახალგაზრდებში თანამედროვე ბიზნესის მიმართულეები პოპულარიზებულია. პროექტის ინიციატორი გახლდათ ფ/პ მერი ნამგალაძე.

10. პროექტი: „ბათუმისა და აჭარის მაღალმთიან სხალთის ხეობის ისტორიული ძეგლების მონახულება“ განხორციელება დროებით გადაიდო კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე. პროექტის ინიციატორი გახლავთ ფ/პ ირაკლი დავითაძე. 11. პროექტი: „ამოგზაურე საქართველოში, გახადე უმდიდრესი კულტურის მოზიარე“. ავტორი ანრი ჯაფარიძე. ღონისძიება გაიმართა 17 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდება მოამზადეს ინფორმაცია კახეთში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების - ალავერდის, იყალთოს, კვეტერის, გრემის, ნეკრესის, ბოდბის, დავით გარეჯას, ელის უძველესი და დიდებული ეკლესია მონასტების შესახებ, აგრეთვე წარმოადგინეს თითოეული ისტორიული ძეგლის მაკეტი, რომლებიც ახალგაზრდების მიერ იქნა მომზადებული პროფესიონალი მხატვარ დეკორატორის მითითებითა და ხელმძღვანელობით; მონაწილეებმა მოიძიეს და დაამუშავეს ისტორიული ცნობები ხორნაბუჯის, მანავის, ლალისყურის, ჩაილურის ციხეების შესახებ, აგრეთვე სიღნაღის გალავნის, თელავის ისტორიული მუზეუმის ერეკლე მეორის სასახლის, წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესახებ. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოაწყვეს ქართული ტრადიციული მეთოდით ღვინის დაყენების ტრადიციის ინსცენირება, მოადუღეს თათარა და ამოავლეს ქართული ნუგბარი - ჩურჩხელა. გაიშალა კახური ტრადიციული სუფრა, ქართული შედევრის ჩაკრულოს ჰანგების თანხლებით დამსწრე საზოგადოებას კი მიეცა შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნის



უნიკალური წარსულისა და ისტორიის შემეცნებისა. პროექტში სულ მონაწილეობდა 50 ბათუმელი ახალგაზრდა.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი / street art movement BAFFITI“ და ფერადი ეზოები ბავშვებს“ მომსახურების შესყიდვაზე. მიმდინარე წლის 20 აგვისტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „ბაფიტის“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) შორის, დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N92 ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელმა“ „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ქუჩის ხელოვნების მოძრაობა ბაფიტი/street art movement bafiti“ და „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ბავშვებს“ ორგანიზების მიზნით, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, ხელშეკრულების ტექნიკური პირობების და ფასების ცხრილის შესაბამისად მომწოდებელმა უზრუნველყო ღონისძიება №1 ფარგლებში 725 კვ.მ. კედლის მოხატვა, ხოლო ღონისძიება №2 საერთოდ ვერ განახორციელა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2021 წლის 20 აგვისტოს №92 ხელშეკრულების 6.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ორგანიზაცია ა(ა)იპ „ბაფიტს“ დაეკისრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის, ჯამში 2 396 (ორი ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

პროექტის ფარგლებში მოიხატა : ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N 51 შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“; ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N253, ა(ა)იპ „საცხენოსნო კლუბი“ – ქ. ბათუმი, ყიული შარტავას ქ.N13, საფეხბურთო სტადიონის ტერიტორია ; ქ. ბათუმი მაზნიაშვილის ქ. N 21, საცხოვრებელ სახლზე; ბათუმი მაზნიაშვილის ქ. N 13, საცხოვრებელ სახლზე ; ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. N15, საცხოვრებელ სახლზე; ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. N10, საცხოვრებელ სახლზე ; ა(ა)იპ სპორტული ცენტრი, მათ შორის: ქ. ბათუმი, ბულვარი (ზღვისპირა ტერიტორია) ქვიშის მოედანი, პლაჟის N15 და N16; პროექტის ფარგლებში სულ მოიხატა 725 კვ.მ კედელი.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვის თაობაზე; შედგა ელექტრონული ტენდერი; ქასტინგის მეშვეობით შეირჩა პროექტის მონაწილე 30 ახალგაზრდა, ამათგან 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდაა. პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი 30-მდე ახალგაზრდას ჩაუტარდა მასტერკლასები და ონლაინ შეხვედრები. შეზღუდულთა შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს 3 დეკემბერს გაიმართა სპექტაკლი „მუსიკის ჰანგების“ პრემიერა, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ნატალია გალოგრე.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ბათუმის ღია თეატრალური ფესტივალის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვის თაობაზე; შედგა ელექტრონული ტენდერი და მ.წ. 21-28 აგვისტოს საზოგადოებაში არსებული სოციალურ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ დაიდგა არანაკლებ 60 წუთიანი ხუთი სპექტაკლი. ფესტივალში მონაწილეობდა თეატრალური შემოქმედებითი, დამოუკიდებელი ჯგუფები, ჯამში 38 მონაწილე. სამი სპექტაკლი დაიდგა ანდრია პირველწოდებულის 46 ნომერში; ერთი



სპექტაკლი - პეტრას ციხეზე და ერთი სპექტაკლი - გონიოს ციხის ტერიტორიაზე. სპექტაკლების ტრანსლაცია განხორციელდა ლაივსტრიმის ფორმატში, კოვიდ პანდემიის გავრცელების თავიდან არიდებისა და პრევენციის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია „შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „მობილური კინოთეატრის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვის თაობაზე; მ.წ 25 ნოემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობა 25 ლიცენზირებული მხატვრული (სრულმეტრაჟიანი) ფილმების ჩვენება და კინოსპეციალიტების მიერ მათი გაშინაარსება. ფილმების ჩვენებას ესწრებოდა დაინტერესებული ახალგაზრდები. ღონისძიება მიმდინარეობდა კოვიდ რეგულაციების დაცვით ქალაქის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების მიღებისთვის უსაფრთხო და შინაარსობრივად დატვირთული სივრცე; ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების განხორციელება.

**ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 18,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 16,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო ღონისძიების - რა?სად?როდის? ფარგლებში სასაჩუქრე წიგნების, თასებისა და მედლების შექმნა. მომზადდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია და გამოვლინდნენ ტენდერში გამარჯვებული პირები. სასაჩუქრე წიგნების მოწოდება უზრუნველყო შპს „ელვა.ჯი“-მ. თასების მოწოდება ფიზიკურმა პირმა შ. ლაკლაკიშვილმა, ხოლო ა(ა)იპ „აჭარის ინტელექტ კლუბთან“ დაიდო ხელშეკრულება ღონისძიების ორგანიზებაზე. მიმდინარე წლის 5 ივნისს ჩატარდა მოსწავლეთა ლიგის, ხოლო 8 ივნისს სტუდენტური ლიგის თამაშები. სასკოლო ლიგაში მონაწილეობდა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეები, სულ 16 გუნდი. I ადგილი დაიკავა #2-ე საჯარო სკოლამ - „ირიდიუმი 12“. 8 ივნისს გაიმართა სტუდენტური ლიგის თამაშები, I ადგილი დაიკავა საზღვაო აკადემიამ - „უგოჩავესი-18“.

ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? მესამე ეტაპი ღია ჩემპიონატის თამაშები „ბრენგ-რინგი“ ჩატარდა 31 ივლისს და 1 აგვისტოს. მონაწილეობა მიიღო 47-მა გუნდმა. თითოეული გუნდი შედგებოდა 6 წევრისაგან. წარმოდგენილი იყვნენ ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავის და ბათუმის გუნდები. საპრიზო ადგილებზე გავიდა: პირველი ადგილი „ბათუმი“, მეორე ადგილი „26-საათი“, მესამე ადგილი „ბოკა ხუნიორსი“.

ინტელექტუალური- ჩემპიონატი „ეტალონის“ კონკურსი გაიმართა დისტანციურად. 28 ივნისს ჩატარდა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც ჩაერთო ბათუმის 26 სკოლიდან მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 სკოლის 119 მოსწავლე. მეორე ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 22 სკოლის 59-მა მოსწავლემ და კონკურსის გამარჯვებული და



„ბათუმის ეტალონი მოსწავლის“ ტიტული მიენიჭა ბათუმის #5 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ლადო ფუტკარაძეს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

**პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)**

**მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1105,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1008,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1) ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 2) დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის. 3) 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება. 4) სამი და მეტი შშმ პირის დახმარება მედიკამენტის შეძენისათვის; 5) 18 წლამდე ასაკის ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება. 6) 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება; 7) პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამა გათვლილი იყო - 4974 ბენეფიციარზე, რომელთაგან მომსახურება გაეწია - 4695 ბენეფიციარს..

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

**ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 130,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 89,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 69,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებასთან, რითიც ეხმარება მას





მოერგოს ოჯახის, საზოგადოების მოთხოვნებს. აგრეთვე, ამცირებს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ სოციალურ ხელის შემშლელ ფაქტორებს, ბარიერებს, რამაც, შესაძლოა დააბრკოლოს რეაბილიტაციის პროცესი. აღნიშნული ქვეპროგრამით ღონისძიება გათვალისწინებული იყო 40 ბენეფიციარზე, საიდანაც მომსახურეობით ისარგებლა 30-მა ბენეფიციარმა, რომელთაც გაეწიათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

**მიღწეული შედეგები:**

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარდა სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

**მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (პროგრამული კოდი 06 01 04)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 128,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 125,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ორი ღონისძიება 610 ბენეფიციარზე, რომელთაგან I ღონისძიებით - „სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება“ ისარგებლა 600-მა ბენეფიციარმა, ხოლო II ღონისძიებით - „18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურები“-თ ორმა ბენეფიციარმა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

**შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 06)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 445,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 404,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,9%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

შ.შ.მ. პირებისა და ომის ინვალიდებისათვის, მათი დაავადებიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია, რომელიც ეხმარება მათ დაავადების დაძლევაში, საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა მოწყვლადი ჯგუფების დასვენება კურორტზე. 2020 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში 809 ბენეფიციარს ჩაუტარდა საკურორტო რეაბილიტაცია, მათ შორის, ომის ვეტერანებს (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, შშმ სტატუსის ბავშვებს, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახებს.



**მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის 12 დღიანი კურსი.

**ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 925,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 767,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,8%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდათ სმენის და მუკოვისციდოზის სქრინინგული გამოკვლევა; 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს, 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ რეაბილიტაციის კურსი; თანდაყოლილი ამოვარდნილობის მქონე 1-წლამდე ბავშვებში მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა.

**➤ მიღწეული შედეგები:**

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სქრინინგი და მუკოვისციდოზზე სქრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი.

**ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 08)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 172,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 127,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,1%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა ორი ღონისძიება - ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის და ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის გაიცა ყოველთვიური მატერიალური დახმარება. ჯამში, მატერიალური დახმარება გაეწია 118 ბენეფიციარს.

**მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.



**მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 09)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 640,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 525,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,1%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება, ღვიძლის ტრანსპლანტაციისა და ძვლის ტვინის გადანერგვის საჭიროების მქონე პირთა დახმარება. კერძოდ, 2021 წლის განმავლობაში ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება გაეწია 700 ბენეფიციარს, ძვლის ტვინის გადანერგვა - 7 ბენეფიციარს, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩაუტარდა 5 ბენეფიციარს.

**➤ მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის.

**თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 11)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 170,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 170,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

**➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეკოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდებათ მედიკამენტები.

**➤ მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეკოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

**სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

**კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 436,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 359,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,4%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათი მიიღო საშუალოდ ყოველთვიურად 539 ბენეფიციარმა (მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირი, შშმ სტატუსის მქონე ბავშვი და ვეტერანი, მათთან გათანაბრებულმა პირია, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები); 2. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე გაეწია 56 ბენეფიციარს; 3. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირი შეიძინა საშუალოდ 115-მდე ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა; 4. დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა განხორციელდა საშუალოდ ყოველთვიურად 8894 პირზე; 5. წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა განხორციელდა საშუალოდ 9172 ბენეფიციარზე ყოველთვიურად.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

**მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 280,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 086,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. სადღესასწაულო დღეებში (15 თებერვალი, 9 მაისი, 27 სექტემბერი და ახალი წელი) 92 ვეტერანს (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) გაეწია მატერიალური დახმარება; 2. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 0-100 000 ჟულის მქონე სოციალურად დაუცველ 186 ოჯახს; 3. ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 73 ოჯახს; 4. ყოველთვიური მატერიალური დახმარება საშუალოდ გაეწია 1561 ბენეფიციარს, მათ შორის 0-70 000-მდე სარეიტინგო ჟულის მქონე სამშვილიან, ოთხშვილიან, ხუთ და მეტშვილიან ოჯახს, უდემამო ბავშვს, მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა); 18 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ჟულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვს; სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ჟულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვს; 30 წლამდე შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს.

➤ **მიღწეული შედეგები:**



მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

### **მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 970,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 903,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,2%.

#### **➤ პროგრამის აღწერა:**

2021 წლის მონაცემებით 31,500 ბენეფიციარმა ისარგებლა მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით.

#### **➤ მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

### **მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 060,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 964,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,0%.

#### **➤ პროგრამის აღწერა:**

უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციარებზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც დარჩენილი არიან ყოველგვარი მოვლა-პატრონობის გარეშე. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ორი ღონისძიება - მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება. ორივე ღონისძიების მომსახურეობით ისარგებლა 211-მა ბენეფიციარმა.

#### **➤ მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები .

### **მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5 273,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 240,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. 2021 წელს დაგეგმილი იყო 6115 ბენეფიციარის მომსახურება, ივნისის თვეში ქ. ბათუმის მერიამ გაზარდა სააგენტოს ბიუჯეტი 254000 ლარის ოდენობით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა მომლოდინეთა სიაში არსებული ყველა - 1480 ბენეფიციარის დამატება. 2021 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე სააგენტო ემსახურებოდა 7595 ბენეფიციარს. პანდემიის გამო არსებული შეზღუდვების პირობებში, 2021 წლის განმავლობაში სასადილოებმა იფუნქციონირეს 1,5 თვე, ხოლო დანარჩენ პერიოდში სააგენტო ახორციელებდა არამალფუჭებადი საკვები პროდუქტებისგან შემდგარი სასურსათო კალათების გაცემას ბენეფიციარებისათვის თვეში ერთჯერ. სასურსათო კალათების გაცემა წარმოებდა სასადილოების მეშვეობით ბენეფიციართა რეგისტრაციის შესაბამისად. 2021 წელს სააგენტოში ამოქმედდა ბენეფიციართა აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა განაცხადების, მათი ძირითად და მომლოდინე სიებში რეგისტრაციის და მობილობის ზუსტ აღრიცხვას. ასევე დაინერგა ბენეფიციარების კმაყოფილების დონის, მათი შენიშვნებისა და მოსაზრებების შესწავლის სისტემა ყოველთვიური გამოკითხვის საშუალებით. გამოკითხვა ხორციელდება სატელეფონო კავშირით, წინასწარ მომზადებული კითხვარის მეშვეობით. აღნიშნული გამოკითხვა საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ბენეფიციართა მომსახურება და დახარჯული საბიუჯეტო სახსრებისაგან მიღწეული იქნას მაქსიმალური ეფექტი. ასევე დანერგილია ბენეფიციართა მიერ მოხმარებული ცალკეული კერძების აღრიცხვა, რაც საშუალებას იძლევა თითოეული კერძი დამზადდეს იმ რაოდენობით, რამდენიც მოთხოვნაა და თავიდან იქნას აცილებული საკვების მორჩენის ფაქტები. იგება (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი), ასევე საახალწლო ნობათის დარიგება. სააგენტომ წლის დასაწყისიდანვე დაიწყო მზადება ბენეფიციართა მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო არსებული სასადილოების სიმძლავრეების გაზრდა. წლის განმავლობაში განხორციელდა სააგენტოს ხუთი სასადილოს რემონტი, რომელმაც მოიცვა სამზარეულოების გაფართოების, გაზქურების დამატების და ასევე სასადილოების იერსახის მოწესრიგების სამუშაოები, ხოლო თამარის დასახლებაში არსებული N3 სასადილოში განხორციელდა შენობის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. სასადილოებისათვის შეძენილია ახალი ინვენტარი და ჭურჭელი. სააგენტოში განხორციელდა შინაგანაწესის განახლება და მისი პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგება. ასევე შეიქმნა მუდმივმოქმედი მონიტორინგის კომისია, რომელიც განახორციელებს სასადილოების გეგმიურ და მოულოდნელ შემოწმებებს. არსებული შიდა რესურსების ხარჯზე შემოღებული იქნა ვიდეოსათვალთვალო სისტემის ოპერატორის შტატი, რომელიც უწყვეტ რეჟიმში განახორციელებს სასადილოების ვიდეო მონიტორინგს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვების მომსახურება.

**დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 298,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 293,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა თავშესაფრის 48 ბენეფიციარის მომსახურება: ღამის გათევა ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა მეორადი ტანსაცმლით უზრუნველყოფა. ყოველდღიურად მიმდინარეობდა რეგულაციებით გათვალისწინებული სამუშაოები: შენობის და ავეჯის დასუფთავება, რეცხვა, დეზინფექცია. დეზინსექცია და დერატიზაცია. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ ფარმაცევტული და სამედიცინო მოწყობილობებით. მიმდინარე პერიოდში ბენეფიციარებს გაეწია სამედიცინო მომსახურება. 2021 წლის ნოემბრიდან ქ. ბათუმის მერიამ დაიწყო ურეხის დროებითი ღამის თავშესაფრის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, რომელიც გაგრძელდება ერთი წლის მანძილზე. სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე თავშესაფრის ბენეფიციარები განთავსებულნი არიან ორ ლოკაციაზე: მეტაქსას ქ. N10-ში მდებარე საქველმოქმედო ორგანიზაცია "კარიტასის" თავშესაფარში (25 ბენეფიციარზე) და მამია ვარშანიძის ქ. N183- ში მდებარე შენობაში (25 ბენეფიციარზე), სადაც მიეწოდებათ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სერვისი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად და ემსახურება 48 ბენეფიციარს.

**საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 70,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 66,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2021 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის", ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა საოფისე ნივთები. გაწეული იქნა კომუნალური და სხვა ხარჯები. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება (5 პირისათვის) ეს ღონისძიება ამოქმედდა 4 ბენეფიციარზე..

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება.

**ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 426,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 310,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

**მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 220,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 119,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 54,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. სამშენებლო მასალების შესაძენად და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემსყიდველ ორგანიზაციებთან და გაიცა 47 სამშენებლო ვაუჩერი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 11)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 69,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 51,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 73,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში covid- 19 რეგულაციებთან დაკავშირებით პერსონალური ასისტენტის გადამზადება შეჩერებული იყო 2021 წელს. ჟესტური ენის სწავლებასთან დაკავშირებით ჩატარდა ბაზრის კვლევა, რის შემდეგაც მიმდინარეობს შესყიდვების პროცედურები. მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურებით ისარგებლა 36-მა პირმა.

**მიღწეული შედეგები:** უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.





### **დასაქმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 12)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 68,4%.

#### **➤ პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს დამსაქმებლების შერჩევას, რომლებიც გამოხატავენ მზაობას ბენეფიციართა დასაქმების თაობაზე მინიმუმ 1 (ერთი) წლის ვადით და მათ შესახებ შესაბამისი მონაცემთა რეესტრის შექმნას. ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებით ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა.

### **სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)**

### **ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 105,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 102,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,4%.

#### **➤ პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ობიექტების რაოდენობა სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები ჩამონარეცხ-ჩამონაბანი - 211, ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები კალორაჟი - 70, ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები სტერილობაზე - 90, ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები განათება - 40, ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები ნედლეული კვების პროდუქტების - 2.

➤ **მიღწეული შედეგები:** განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.

### **დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)**

#### **➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

#### **➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 370,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 367,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელებულია ქვეპროგრამით გათვალისწინებული დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.

**მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 370,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 367,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელებულია უმეტესაყურეო, უპატრონო შინაური ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები განხორციელებულია.

**პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება**

**ქალაქის ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი 07 01)**

**ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 500,0 ათასი ლარი; საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული, ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მიმწოდებელი კომპანიის სამუშაოების შესრულების დაბალი მაჩვენებლით, შესაბამისად მიწოდებელს დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის შემუშავებაზე გამოცხადდა 2021 წლის 14 აპრილს.

წინადადებების მიღება დასრულდა 1 ივნისს, შესაბამისად სისტემამ გაასაჯა-რო-ვა კონკურსში მონაწილე 3 პრეტენდენტის ვინაობა, კერძოდ: „ΠΡΟΑΡΧ“ Α.Π, შპს „ნიუ სითი დეველოპმენტ“ და „სითი ინსტიტუტი საქართველო“.

შესყიდვების პროცედურების გათვალისწინებით, ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 16 აგვისტოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“ შორის. პრეტენდენტის მიერ დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 16 ნოემბერს დოკუმენტაცია,



რომელიც არ იყო შესაბამისი ხელშეკრულების პირობებთან, შესაბამისად არ იქნა მიღებული სამუშაოები, აღნიშნული გარემოების გამო ვერ მოხდა მიღება-ჩაბარება 2021 წელს.

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 18,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარდამავალი ღონისძიებების დაფინანსება - ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება.

**პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება**

**მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)**

**ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება (პროგრამული კოდი 08 01 01)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 70,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 15,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 22,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თვითმმართველობის განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ელექტრონული სერვისები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იაფ, მოსახერხებელ და სწრაფ საშუალებას. იმისათვის, რომ მოხდეს ელექტრონული ფაილების დაცული შენახვისა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, იგეგმება მისი პერიოდულად განახლება. წარმოგიდგენთ, 2021 წელს, მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიშს: მუნიციპალური სერვისების სამსახური აქტიურად მუშაობდა ორი ძირითადი მიმართულებით: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა და მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციის მიმართულება.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა - მუნიციპალური სერვისების სამსახურის IT მიმართულების სპეციალისტები 2021 წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამ ძირითად შენობას - ლ. ასათიანის ქ. N25, მ. ლერმონტოვის ქ. N90ა და სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ცენტრალურ ოფისსა და 14 ადმინისტრაციულ ერთეულს - სერვისცენტრებს, ასევე სხვა მუნიციპალურ ორგანიზაციებს.

დაიგეგმა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამი ძირითად შენობის და 14 ადმინისტრაციული ერთეულის - სერვისცენტრების ტექნიკური და პროგრამული



ანალიზი და მომზადა შესაბამისი დოკუმენტი. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია - მუნიციპალური სერვისების სამსახურმა ამ მიმართულებით უპირველესად იხელმძღვანელა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ძირითადი მიმართულებები, კერძოდ: 1 - ქ. ბათუმის მერიაში არსებული ბიზნესპროცესების ანალიზი; 2 - პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; 3 - ერთიანი ელექტრონული სერვისებისა და გეო-სერვისების პორტალის შექმნა. სამივე მიმართულებით გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და შეიქმნა კონკრეტული პროდუქტები.

2021 წლის 1 სექტემბერს დაიწყო თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში მოქალაქეების იდეების მიღება „მონაწილეობითი ბიუჯეტირების განახლებული ელექტრონული პლატფორმის" - ([www.idea.batumi.ge](http://www.idea.batumi.ge)) მეშვეობით. 1 სექტემბრიდან - 30 სექტემბრის ჩათვლით (იდეების რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადა) პლატფორმაზე დარეგისტრირდა 71 საპროექტო განაცხადი. 1 ოქტომბრიდან - 14 ნოემბრამდე მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ დებულებით განსაზღვრული წესის თანახმად საპროექტო განაცხადების ანალიზი. იდეის რეგისტრაცია: 2021 წლის 1-30 სექტემბერი; იდეების გადარჩევა: 2021 წლის 1 ოქტომბერი - 14 ნოემბერი; ხმის მიცემა: 2021 წლის 15 ნოემბერი - 1 დეკემბერი; გამარჯვებული პროექტების გამოქვეყნება: 2021 წლის 1-10 დეკემბერი; პროექტების განხორციელება: 2022 წლის დეკემბრამდე.

ამ ეტაპზე „USAID - ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)“-ის ფინანსური მხარდაჭერითა და „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით მიმდინარეობს თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ქალაქის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. პროცესი აქტიურად შუქდებოდა ადგილობრივი მედიის მეშვეობით. ასევე დასრულდა ბინათმესაკუთრეთა ახმანაგობის პორტალზე მუშაობა და მერიის ერთიანი პორტალის ([Batumi.gov.ge](http://Batumi.gov.ge)) შექმნა, რომლის პრეზენტაციაც იგეგმება უახლოეს მომავალში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ელექტრონული მომსახურების სისტემა გაუმჯობესებულია.

**მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)**  
**ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 08 01 02)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 765,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 717,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოში 2021 წელს ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ: მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით 14 ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრების მიერ მომსახურებით ისარგებლა - 7244 მოქალაქემ, მათ შორის: ჯანდაცვის კუთხით



შემოვიდა - 2821, სოციალური უზრუნველყოფის კუთხით - 2323 და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით 2100 განხვადება. ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვისთვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით განახორციელეს - 4374 მოკვლევა, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულებით - 2284 და სოციალური მიმართულებით - 2090 მოკვლევა. ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო - 2100 მოკვლევა განახორციელეს. ქალაქის მიმდინარე მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული დაფიქსირდა მცირე პრობლემა -1425, რომელთაგან უკვე მოგვარებულია - 425. ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებმა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით დაარიგა -1264 სამხედრო უწყება. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილების მიერ დებულების,

მოთხოვნათა შესაბამისად 2021 წლის 01 იანვრიდან - 13 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 81 - პირველადი შეფასება (სკრინინგი); 28 - სრული შეფასება (მონიტორინგი); 8 - გადაისინჯა/გაგრძელდა; 7 - გადაისინჯა/დაიხურა; 9 - გადამისამართდა; 3 - ფსიქოლოგის მომსახურება; 13 - მედ. მუშაკის მომსახურება; საქ. განათლების და მეცნიერების სამინისტროსათვის სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით (ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის სერვისცენტრების ჩართულობით) იქნა მოკვლეული და შესწავლილი 216 ბავშვის ოჯახი. დაზუსტდა ინფორმაცია, შეიქმნა სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვებზე ახალი მონაცემთა ბაზა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება "ერთი ფანჯრის პრინციპით".

**თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (პროგრამული კოდი 08 01 04)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 145,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 103,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 71,3%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელებულია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პასპორტიზაცია, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შექმნას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შექმნას, არსებული ნახაზების დაყოფას, არსებული ნახაზების კორექტირებას, არსებული ნახაზების გაერთიანებას, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაკვალვას, ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების შექმნას. კერძოდ, განხორციელდა 5241,86 კვ.მ.



შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების დამზადება, 67669,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების ჩატარება, განხორციელდა 57 საკადასტრო ერთეული მიწის ნაკვეთის დაყოფა, გაკეთდა 6 ერთეული მიწის ნაკვეთის კორექტირება, გაერთიანდა 1 ერთეული მიწის ნაკვეთი, შესრულდა 25 ერთეული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკვალივითი სამუშაოები.

- 2021 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების, მათ შორის აქციებისა და წილის აუდიტორიული შეფასების დასკვნების მომზადება (ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა), კერძოდ, 220 ერთეული ქონების აუდიტორული შეფასების დასკვნის მომზადება;

- 2021 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელდა ელექტრონული აუქციონის განცხადების განთავსება და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებულია ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურება. 2021 წლის I, მე-II, მე-III და მე-IV კვარტალში განხორციელდა თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს მიერ განხორციელებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქ. #40-ში მდებარე 12500,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული 15552,00 კვ.მ. დაუმთავრებელი შენობის - ყოფილი სასტუმრო „მეზღვარი“-ს საპოლიციო ძალების მეშვეობით დაცვის მომსახურება.

**➤ მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა.

**ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია (პროგრამული კოდი 08 01 05)**

**➤ პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

**➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 291,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 150,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,7%;

**➤ პროგრამის აღწერა:**

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წლის წლიური მონაცემებით გამოვლენილია სამართალდარღვევები ადმინისტრაციული ზედამხედველობის კუთხით გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 536 სუბიექტი გაფრთხილდა, 63 ობიექტი დაჯარიმდა, განხორციელდა 249 ობიექტის უნებართვო, უსახური ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი, 23 ობიექტმა გამოასწორა მდგომარეობა; სამშენებლო და უსაფრთხოების სამსახურის კუთხით გამოწერილია 927 დადგენილება, გამოვლინდა 716 ობიექტზე სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, საქმისწარმოება შეწყდა 419 ობიექტზე, ხოლო 297-ზე მიმდინარეობს საქმისწარმოება, გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, გარდა ამისა მიმდინარეობს სასამართლო განხილვები თანხების ამოღების მიზნით; პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი 37895 სამართალდარღვევის ფაქტიდან ამოღებულია 19376 ჯარიმა, ხოლო



ევაკუაციიდან მიღებულმა შემოსავლმა შეადგინა 42020 ლარი, გარდა ამისა მიმდინარეობს სასამართლო განხილვები, თანხების ამოღება ძირითადად ხორციელდება იძულების წესით.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2021 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №7).**